ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატის და პროფორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1,
(უნივერსიტეტის შენობა)

№ 2 | 10 ნოემბერი 1933 წ. | № 2

გაუმარჯოს ოქტომბრის 16 წლისთავს!

ლენინური კომპარტიის და მის ბოლშევიკურ ცეკას ხელმძღვანელობით, ლენინის საუკეთესო მოწაფის და თანამებრძოლის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის და თეორეტიკოსის ამხ. სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და კოლმეურნეთა მასები მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ ბრძოლაში სოციალიზმისათვის, მშვიდობიანობისათვის, მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის



კიდევ უფრო მაღლა სოციალიზმის დროშა

მტრები წინასწარმეტყველობდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუცია უდღეურია, რომ მისი არსებობა თუ საათებით არა დღეებით მაინც განიზომება. მრავალმა წელმა განვლო ამის შემდეგ, მტრებს ხშირად უხდებოდათ ჩვენი მოსპობის დღეების და საათის გადაწევა. 16 წელია ვარსებობთ, ჩვენ ვძლიერდებით და ვმაგრდებით ყოველდღიურად, ყოველი საათობით. ასე დაიმსხვრა საერთაშორისო ბურჟუაზიისა და თეთრი ემიგრაციის (მენშევიკ - ესერებით) ოცნება საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე და კაპიტალიზმის რესტავრაციაზე ჩვენში.

დიადმა ოქტომბერმა დაამსხვრია მათი უიმედო ოცნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოისპო ინტერვენციის საფრთხე, მოისპო საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე. ყოველ წუთს უნდა ვიყოთ ფხიზლად, უნდა ვიყოთ მზად ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

დღეს ჩვენ მთელ მსოფლიოს რევოლიუციონურ მუშათა კლასთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კოლმეურნეების და ნახევრად კოლონიების ჩაგრულ და გაყვლეფილ მასებთან ერთად ვზეიმობთ ოქტომბრის გამარჯვების 16 წლის თავს, მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის 16 წლის თავს. კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებული უსასტიკესი ეკონომიური კრიზისი, სიმშილი, სიღატაკე, უმუშევართა ათეულ მილიონებიანი არმია, კაპიტალისტების უმკაცრესი შეტევა მუშათა კლასზე სოციალ-ფაშისტების აქტიური დახმარებით, ფაშიზმის სისხლიანი თარეში, და ტერორი, გააფთრებული მზადება ახალი იმპერიალისტური ომისათვის — ყველაფერი ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ხდის საერთაშორისო მუშათა კლასისათვის საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის შედეგების მთელს სიდიადეს და გრანდიოზულობას, ნათელს ხდის, თუ რა გზით უნდა იარონ მათ, რომ თავი დააღწიონ სიმშილს, სიცივეს, სიღატაკეს და უმუშევრობას.

კრიზისმა შეარყია კაპიტალიზმის საძირკვლები, კრიზისის გამანადგურებელმა შედეგებმა უიმედობა და სასოწარკვეთილება ჩანერგა იმათშიც კი, ვისაც გუშინ სჯეროდა, რომ კრიზისი დროებითია, წარმავალია: კვლავ დაბრუნდება კაპიტალიზმის „ოქროს დღეები“. ზედიზედ ხუხულასავით დაინგრა და დაიმსხვრა კრიზისიდან თავის დაღწევის საერთაშორისო და ნაციონალური მასშტაბის ყველა ცდები, რადგან ეხლანდელი კრიზისი იმით განსხვავდება ყველა წინა კრიზისებიდან, რომ ის არის მთელი კაპიტალისტური სისტემის კრიზისი, კრიზისი, რომელსაც მაგრად ჰყავს ჩაჭერილი თავის ბრჭყალებში არა ცალკე კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ მთელი კაპიტალისტური მსოფლიო.

კაპიტალისტურ მსოფლიოში გამეფებულ გახრწნისა და ნგრევაში სალ კლდესავით დგას სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი, სადაც დიდი ხანია მოსპობილია უმუშევრობა, სადაც სამრეწველო პროდუქციის გამოშვება შეუჩერებლად იზრდება, სადაც ყოველდღეს მოაქვს ახალ-ახალი გამარჯვებები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, სადაც ყოველდღიურად უმჯობესდება მშრომელთა საცხოვრებელი დონე, სადაც მეფის დროს გაძვალტყავებული და დამშეული მშრომელი გლეხობა მტკიცედ მიდის საკოლმეურნეო გზით შეძლებული ცხოვრებისაკენ, სადაც შრომა წარმოადგენს არა იძულებით რამეს, არამედ სახელის, ღირსების, დიდების და გმირობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა ყოველდღიურად გვაძლევს მრავალრიცხოვან მოწინავე მებრძოლებს ტექნიკისათვის, მეცნიერების მწვერვალების დაპყრობისათვის, მძლავრი ხელით მიჰყავს წინ კულტურა, ახალ ბრწყინვალე ფურცლებს სწერს მეცნიერების და ტექნიკის ისტორიაში, მთელი საბჭოთა ქვეყანა გამსჭვალულია სოციალიზმის შენების, სწავლის და ახალი კულტურული ცხოვრების შექმნის ნებისყოფით და წყურვილით. იქ კი, კაპიტალისტურ ქვეყნებში, მშრომელი მასებისათვის გადაკეტილია სწავლის და კულტურის გზები; უფრო მეტი, წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფართო წრეებიც კი, რომლებსაც არც ერთი წინა კრიზისი არ შეჰხებია შესამჩნევათ, დღეს უკვე ველარ პოულობენ თავისი ცოდნის გამოყენების ასპარეზს. უმუშევარ ინდუსტრიალური პროლეტარიატის არმიას ემატება მეცნიერთა, ინჟენერთა, მხატვრების, მოქანდაკეების, მსახიობების, მუსიკოსების და სხვ. ათეული ათასები, რომელთა შორის ბევრი დიდი სახელით სარგებლობდა თავის დროზე. ასე ხურავს კულტურის გზებს მოაკვდავი კაპიტალიზმი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი, რომელიც **ამხ. სტალინმა** მოგვცა პარტიის მე-14 ყრილობაზე ოქტომბრის მე-16 წლის თავისათვის იმდენად არის რეალიზაციაქმნილი, რომ საბჭოთა კავშირმა სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში უკვე გაუსწრო ეკონომიურად და ტექნიკურად მოწინავე ქვეყნებს. პირველი ხუთწლედის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ინდუსტრიის ისეთი დარგები, რომელთა ჩანასახიც კი არ მოიპოვებოდა ძველს რუსეთში: მძიმე მანქანათმშენებლობა, სატრაქტორო და საავტომობილო მრეწველობა, საავიაციო მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა და სხვ. შექმნილია ინდუსტრიის და ელექტროფიკაციის მსოფლიო გიგანტები: სტალინის და მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნები, ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, სტალინგრადის, ხარკოვის და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნები, ალიუმინის წარმოება, დნეპრჰესი და სხვ. იცვლება საბჭოთა ქვეყნის სახე — მოპოებულია უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის გამარჯვება —სარეკორდოთ მოკლე ვადაში გაყვანილია თეთრი ზღვის და ბალტიის არხი. იქმნება სამრეწველო ცენტრები მეფის დროს გაყვლეფილ და ჩაგრულ „განაპირა კუთხეებში“, ჩვენი მეცნიერება და ტექნიკა გამოდის მოწინავე პოზიციებზე, იკავებს პირველ ადგილებს — სინთეთიური კაუჩუკის პრობლემის გადაჭრა, იერიში ატომგულზე, ბრწყინვალე შტურმი სტრატოსფეროსი, მსოფლიო მნიშვნელობის პოლარული ექსპედიციები და მრავალი სხვა — რითაც შეუძლია იამაყოს საბჭოთა მეცნიერებას და ტექნიკას. იჭედება ახალი კულტურა — ფორმით ნაციონალური, შინაარსით — ინტერნაციონალური. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად მთელი რიგი წინად ჩამორჩენილი ეროვნებანი ახლა გამოსული არიან სამეურნეო - კულტურული განვითარების ფართო გზაზე.

არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში არ ახსოვს თავისი მსხვილი მრეწველობის, მთელი თავისი სახალხო მეურნეობის განვითარების ასეთი სწრაფი ტემპები, როგორსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში. განვითარების ეს სწრაფი — ბოლშევიკური ტემპები მთელი ჩვენი ცხოვრების განვითარების კანონსა და ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს ტემპები შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში, მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში.

მთელი მსოფლიო პროლეტარიატი, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მიმზიდველობის ცენტრს, პროლეტარულ სამშობლოს, აღტაცებით და ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩვენს გრანდიოზულ მშენებლობას, მზად არის მკერდით დაიცვას იგი იმპერიალისტურ ყაჩაღებისაგან.

მე-16 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი მასები ლენინური კომპარტიისა და საყვარელი ბელადის **ამხ. სტალინის** მეთაურობით ხვდებიან მთელ რიგ ახალი გამარჯვებებით. სოციალისტური მშენებლობის მეჩვიდმეტე წელში, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და კოლმეურნეთა მასები კიდევ უფრო შეამჭიდროებენ თავის რიგებს ლენინის პარტიის გარშემო, იბრძოლებენ ყოველი ჯურის ოპორტუნისტებისა და კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, მეორე ხუთწლედის დიადი ამოცანების განსახორციელებლად, ამხ. სტალინის მიერ დასმულ ამოცანათა რეა- ბრძოლით ორ ფრონტზე — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ჩვენ დავამთავრებთ სოციალიზმის საძირკვლის აგება და ვიბრძვით უკლასო სოციალისტური, საზოგადოების შესაქმნელად

პროლეტარული სტუდენტობა მოვალეა იყოს სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში, იბრძოლოს მეცნიერების მწვერვალების დაპყრობისათვის, ტექნიკის დაუფლებისათვის, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებით შეიარაღებისათვის და ამასთან ერთად ყოველ წუთს მზად უნდა იყოს პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

გაუმარჯოს ოქტომბრის 16 წლის თავს!

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ)—ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ბელადს და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს, ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს წითელ არმიას—ყველა მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს ძლიერ დამცველს, საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის დასაყრდენს, ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო გუშაგს!

კიდევ უფრო მაღლა სოციალიზმის დროშა!

ოქტომბრის მიღწევები კულტურულ ფრონტზე

საბჭოთა ხელისუფლებამ 16 წლის განმავლობაში უდიდეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს მიაღწია არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურულ ფრონტზედაც. ოქტომბრის რევოლიუციის 16 წელი — ეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლის წლებია. „გაჭყლეტილი კაპიტალიზმით ვერ გაძღები, გვასწავლიდა ლენინი, უნდა ავიღოთ მთელი ის კულტურა, რომელიც კაპიტალიზმმა დასტოვა და ამით ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, ტექნიკა, მთელი ცოდნა და ხელოვნება. უამისოდ ჩვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ავაშენებთ“. მაგრამ, როგორც ამას თვით ლენინი ამბობს უნდა აგვეღო მთელი ცოდნა, მეცნიერება, რომელიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა არა უცვლელად, არამედ გადაგველახა კრიტიკულად, შეგვეთვისებია კრიტიკულად. ამ ამოცანას საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ბრწყინვალეთ ასრულებდა და ასრულებს. ის გმირული ბრძოლით აშენებს სოციალიზმს, აშენებს ახალ უკლასო საზოგადოებას და ამ აღმშენებლობის პროცესში ეს გარდაქმნის კომუნისტურათ, როგორც თავის-თავს აგრეთვე მის ირგვლივ დარაზმულ მშრომელთა მილიონებსაც, ამ აღმშენებლობის პროცესში იჭედება ახალი საზოგადოება, პროლეტარული კულტურა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია იძლევიან კულტურული განვითარების უდიდეს შესაძლებლობას. სოციალისტური ქარხნები, ფაბრიკები, ელექტრო სადგურები, მაღაროები, კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აყვავების ბერკეტებს, არამედ ახალი პროლეტარული კულტურის კერას. აქ იჭედება ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანი, ახალი კულტურა. აქ იჭედება შრომის ახალი მეთოდები და ფორმები. აქაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, რომელიც იმუშავებს ადამიანში შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას და ეს კი მთავარია ადამიანთა მასიური კომუნისტური გარდაქმნისათვის. სოციალისტური აღმშენებლობის ამ გიგანტებს ემატებიან ჩვენი კულტურულ - მეცნიერული, საგანმანათლებლო დაწესებულებანი და საბოლოო შედეგში ყოველივე ეს იძლევა პროლეტარული კულტურის გიგანტურ ზრდას. მშრომელთა მასიურ კომუნისტურ გარდაქმნას მხოლოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია წარმოადგენს მშრომელ გლეხობის მილიონების საუკუნოებრივ ძალისა, სიბნელისა და იდიოტიზმისაგან გამოყვანის აუცილებელ გზას. კოლმეურნე სოფლად არის არა მარტო ახალი სამეურნეო ფორმის მატარებელი, არამედ ახალი კულტურის მატარებელიც. მის შეგნებაში ხდება უდიდესი გარდატეხა, ის თანდათანობით თავისუფლდება კერძო მესაკუთრეული ფსიქოლოგიისაგან, თანდათანობით ხდება მისი კომუნისტურათ გარდაქმნა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხ. სტალინის ექვსი პირობის გატარებას და აქედან ნათელია ისიც, რომ ის ჩვენს კულტურულ ზრდა-განვითარებაშიდაც დიდ როლს ასრულებს.

ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავს საქართველოც უდიდესი კულტურული მიღწევებით ხვდება. საქართველო, რომელიც ცარიზმის ბატონობის ხანაში კოლონიის მდგომარეობაში იყო, ხოლო მენშევიკების დროს მეზობლებთან განუწყვეტელი ნაციონალური შუღლისა და ბრძოლის და დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის აგენტების ალვირაწახსნილი თარეშის პირობებში სულ დაბლა და დაბლა ეცემოდა, დღეს კომპარტიის ლენინური ხელმძღვანელობის შედეგად ძლევამოსილ სოციალისტური აღმშენებლობის, მოზარდ, მედგარ პროლეტარული კულტურის რესპუბლიკას წარმოადგენს. აი რას გვეუბნებიან ფაქტები:

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უდიდესი კულტურული საქმეა. ამ დარგში ჩვენში დიდი მიღწევებია: 1897 წ. წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი მოსახლეობის 20 პროც. შეადგენდა, 1922—23 წ.—35 პროც., 1926 წ.—46,9 პროც., 1930 წ.—87,8 პროც., 1934 წლისათვის კი ჩვენ ვამთავრებთ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ვასრულებთ უდიდეს კულტურულ ამოცანას.

საყოველთაო სავალდებულო სწავლის საქმეში, რომლის უდიდესი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა ყველასათვის ნათელია, ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. 1914-15 წ. სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის მხოლოდ ორი დაწესებულება არსებობდა, მენშევიკების დროს 5, ხოლო ჩვენ 1933—34 წლისათვის გვაქვს 1712 სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულება. თვითმპყრობელობის დროს საქართველოში იყო პირველი საფეხურის სკოლა 1441, მენშევიკების დროს 1745, ხოლო ჩვენ პირველი ხუთწლედის დასასრულს გვქონდა 3610 სკოლა, რომელშიდაც სწავლობდა 378.600 მოსწავლე. 1932-33 წ. ჩვენ ძირითადათ დავასრულეთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება ოთხწლედის ფარგლებში.

ახალი სოციალისტური კადრების მომზადება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენ გვესაჭიროება ბოლშევიკური კადრები, რომლებიც თავგანწირვით იბრძოლებენ სოციალიზმისათვის. ასეთი კადრები უნდა გამოიჭედოს ჩვენს საშუალო ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ დარგშიაც ჩვენ დიდი მიღწევებით ვხვდებით ოქტომბრის რევოლიუციის 16 წლის თავს. 1914—15 წ. ჩვენში 11 სპეციალური სასწავლებელი იყო, ხოლო მენშევიკების დროს კი 8. ჩვენ 1927—28 წ. გვქონდა 46 სპეციალური ტექნიკუმი საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად, ხოლო 1929—30 წ. კი 153.

1914—15 წ. საქართველოში იყო მხოლოდ ერთი ქალთა უმაღლესი კურსები, 1920-21 წელს 4 უმაღლესი სკოლა, ხოლო დღეს ჩვენში 15 უმაღლესი სასწავლებელია. ჩვენ ძველი უნივერსიტეტის ნანგრევებზე შევქმენით **ახალი საბჭოთა უნივერსიტეტი**, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურას წარმოადგენს. ტფ. სახ. უნივერსიტეტი არა მარტო მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერულ კადრებს ამზადებს, არამედ ამასთან ერთად ის ეწევა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობას და წარმოადგენს ძლიერ მეცნიერულ დაწესებულებას. **ტფ. სახ. უნივერსიტეტი უდიდესი პოლიტიკური და კულტურულ - მეცნიერული მნიშვნელობის მოვლენაა.** ჩვენ ვიბრძვით როგორც კადრების მაღალი ხარისხისათვის აგრეთვე სტუდენტთა მასის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. 1932-33 წელს სტიპენდიას ღებულობდა სტუდენტთა 52 პროც., საქართველოს უდიდესი მიღწევები აქვს საბჭოთა მეცნიერების განვითარების და განმტკიცების საქმეში, სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის გაშლის საქმეში. 1914—15 წელს საქართველოში 7 პატარა სამეცნ. საკვლევო დაწესებულება არსებობდა, ხოლო 1920—21 წ. 10. 1933 წ. ჩვენში 140 სამეცნიერო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა და სხვადასხვა ხარისხის მეცნ. მუშაკთა რიცხვი 2000 აღემატება. **მიმდინარე წელს ჩვენში გაიხსნა საკავშირო აკადემიის ა.-კ. ფილიალის განყოფილება**, რომელიც უდიდეს როლს **შეასრულებს საქართველოში საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში.** ჩვენში მთელ რიგ მეცნ. დაწესებულებას აქვს არა მარტო საკავშირო ხასიათის მიღწევები, არამედ მსოფლიო ხასიათისაც (მაგ. მინერალოგიის ინსტიტუტს—საბჭოთა ფლორიდინი).

საქართველოში ძლიერ იზრდება მეცნიერული ბიბლიოთეკები, მათი რიცხვი 1032 უდრის, რომელთა წიგნის ფონდი ორ მილიონს აღემატება.

ჩვენში კულტურის სწრაფი განვითარების და მასების კულტურული დონის და მოთხოვნილების ამაღლების საუკეთესო მაჩვენებელია გამომცემლობის განვითარება. 1913 წ. ქართულ ენაზე გამოიცა 247 სახელწოდების წიგნი, 1920 წ. 266 სახელწოდებს წიგნი, ხოლო ჩვენში 1932 წელს დაიბეჭდა 2237 სახელწოდების წიგნი. ქართული წიგნის არსებობის 30 წლის განმავლობაში გამოცემულ წიგნებთან შედარებით ჩვენმა სახელგამმა 4 ჯერ მეტი წიგნები გამოსცა. ჩვენში დიდი წარმატებით მიმდინარეობს მარქსიზმის კლასიკოსების მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა. საქართველოში უამრავი გაზეთები გამოდის: ცენტრალური რესპუბლიკანური გაზეთი 15, საოლქო (ავტ. რესპუბლიკები), 8, სარაიონო 54 და მრავალტირაჟიანი 55. საქართველოში დღეს სხვადასხვა ხასიათის 16 სერიოზული ჟურნალი გამოდის. გამომცემლობის ასეთნაირი გაშლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო.

საბჭოთა საქართველოში საგრძნობლად გაიშალა საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. 1914—15 წ. საქართველოში იყო 4 ბიბლიოთეკა, 3 კლუბი, 82 ქოხ-სამკითხველო, 4 კინო, 3 თეატრი, მენშევიკების დროს იყო 11 ბიბლიოთეკა. 142 ქოხ-სამკითხველო, 5 თეატრი და 1 კინო. ჩვენ კი დღეს გვაქვს: 110 ბიბლიოთეკა, 236 კლუბი, 800 ქოხ-სამკითხველო, 38 სახალხო სახლი, 41 თეატრი, 175 სტაციონალური და 160 მოძრავი კინო-დადგმულობა, 1086 წითელი კუთხე, 22.000 რადიო დადგმულობა, 24 საკოლმეურნეო სახახლე, 1.700 თვითგანვითარების წრეები და სხვ. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარული კულტურის ფრონტზე უდიდეს გამარჯვებებს მივაღწიეთ. შეუძლებელი იქნებოდა ეს გამარჯვება რომ პარტიას არ ეწარმოებია განმანადგურებელი ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების, მათთან შემარიგებლობის და პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველი ჯურის გადამხრელების წინააღმდეგ. ნაციონალურ კულტურას მრავალი ესხმოდნენ თავს, ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ, ხელს გვიშლიდნენ მის შექმნაში, მაგრამ ჩვენ ვხედავთ რომ დღითი-დღე მტკიცდება, იზრდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. შეუძლებელი იქნებოდა ეს გამარჯვება, რომ პარტიას არ ეწარმოებია განმანადგურებელი ბრძოლა ველიკორუსული შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მხოლოდ ორ ფრონტზე გაშლილმა ბრძოლამ უზრუნველყო ის უდიდესი გამარჯვებები, რომლითაც დღეს საბჭოთა კავშირი მთლიანად და საქართველო კერძოდ ხვდებიან ოქტომბრის რევოლიუციის 16 წლის თავს. შეუძლებელი იქნებოდა ძლევამოსილი ბრძოლა, რომ ჩვენი პარტიის ცეკა ამხ. სტალინის მეთაურობით მედგრად არ მდგარიყო პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე. მიღწეულ გამარჯვებათა საფუძველზე ჩვენ უნდა გავშალოთ ბრძოლა მეორე ხუთწლედის, უკლასო საზოგადოების აშენების ხუთწლედის შესრულებისათვის. მეორე ხუთწლედი, რომელიც მიზნათ ისახავს გადალახოს კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაშიდაც, უდიდეს ამოცანებს უსახავს კულტურულ ფრონტს. შემდგომი გამარჯვებანი შესაძლებელია მხოლოდ კლასიური სიმახვილის, პარტიული სიფხიზლის მეტი გაცხოველებით, შემდგომი გამარჯვებისაკენ მივდივართ არა კლასიური ბრძოლების მიყუჩებით, არამედ კლასიური ბრძოლების გამახვილების და გაშლის გზით.

წინ — ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარული კულტურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში..

კ. ჭკუასელი.



ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საქმეს მოუმზადოთ მაღალკვალიფიციური მებრძოლები

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოღებულია უმაღლესი ჯარის გარეშე მზადება ორი განხრით—საარტილერიო და ქვეითი.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ არსებული კანონის თანახმად „ეს მზადება წარმოადგენს ნამდვილ სამხედრო სამსახურს და ასრულებს საკადრო ნაწილებში ვადიან სამსახურის მაგიერობას“. ამრიგად სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში ემზადება არა მარტო, როგორც სპეციალისტი სოციალისტური მშენებლობისათვის, არამედ აგრეთვე იხდის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობასაც საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის საქმეში—იძენს სამხედრო ცოდნისა და პრაქტიკულ სამხედრო ჩვევების გარკვეულ ჯამს.

რა ამოცანებსა და მიზნებს ისახავს ჯარის გარეშე სამხედრო სწავლების შემოღება უმაღლეს სასწავლებლებში?

უმაღლესი ჯარის გარეშე მზადების ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კადრებთან ერთად მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის მოამზადოს მეთაური-სპეციალისტები, თავდადებულნი პროლეტარიატის დიქტატურისათვის და მშრომელი მასების აქტიური აღმზრდელნი საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის.

ამ მზადების მიზანია—სტუდენტის მოუწყვეტლად სპეციალური მომზადებისა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მისი შემდგომი მუშაობისაგან სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგებში, შექმნას მისგან მეთაური, რომელიც ყოველ წუთს მზად იქნება ჩადგეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის საბრძოლველად.

როგორც ვხედავთ, ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანა ფრიად რთული და საპასუხისმგებლოა. ამიტომ ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ სამხედრო მზადების საქმეს დაუღალავ და სისტემატიურ ხელმძღვანელობას გაუწევს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანო, იმ პირობით, თუ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები მუდმივ და აქტიურ დახმარებას გაგვიწევენ და, დაბოლოს, პროლეტარული სტუდენტობის მთელი მასის მობილიზაციით სამხედრო მომზადების საკითხების გარშემო.

დადებითი შედეგებს სამხედრო მომზადების დარგში მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ თვით სტუდენტობა თავისი პარტიული, კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციების სახით მიიღებს ცოცხალ და უშუალო მონაწილეობას ამ საქმეში, იბრძოლებს მის დასაყენებლად სათანადო სიმაღლეზე.

სამხედრო მომზადების საქმის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები საკ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების თანახმად ეხმარებიან სამხედრო ხელმძღვანელობას სასწავლო გეგმების შესრულებისათვის, სწავლების ხარისხისათვის და მაღალი დისციპლინისათვის ბრძოლაში.

კერძოდ პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველჰყოს კომუნისტების და კომკავშირელების სამაგალითო და ნამდვილად მოწინავე როლი სამხედრო მომზადების და პოლიტიკური აღზრდის ხარისხის ამაღლების საქმეში, გაშალოს სტუდენტებს შორის სოცშეჯიბრება სამხედრო მზადების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულების საქმეში, მოაწესრიგოს შეჯიბრების შედეგების შემოწმება და აღრიცხვა, ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინოს სამხედრო ხელმძღვანელობას დისციპლინისათვის ბრძოლაში და ფართოდ გამოიყენოს პრესა (მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთები), როგორც სამხედრო-პოლიტიკური აღზრდის მძლავრი იარაღი.

დისციპლინის დაყენება და მისი განმტკიცება სათანადო დონეზე ჩვენს უნივერსიტეტში მოითხოვს თითეული სტუდენტისაგან, რომელიც სამხედრო მომზადებას გადის, სამაგალითობას და სასტიკ დისციპლინიანობას ყველაფერში: ყოველგან და ყოველთვის—სამხედრო მეცადინეობაზე სკოლაში და ველად, უნივერსიტეტში და მის გარეთ, საზოგადოებრივ ადგილებში—ტფ. სახ. უნივერსიტეტის გასამხედროებული სტუდენტი უნდა წარმოადგენდეს სამხედრო სიერებბადსი უჩჩნ ცლ-ეიწ ს სუვსაუ სუ დისციპლიანობის, დარაზმულობის და წესიერების მაგალითს.

ამ დისციპლინიანობის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს: შესანიშნავი მხედრული გაწვრთნილობა, როგორც მწყობრში, ისე მწყობრს გარეთ, სამხედრო ენა უფროსისათვის მოხსენებისა და და სამხ. მეცადინეობის დროს, მიცემულ დავალებათა და ბრძანებათა ზუსტად და მკაფიოდ შესრულება და, დაბოლოს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის საწესდებო დებულებათა მტკიცედ გამოყენება მეთაურისა და უფროსისთვის მიმართვის დროს.

ყოველივე ამას უნდა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება სტუდენტების მხრივ, რომლებიც სამხედრო მზადებას გადიან. სტუდენტს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ის იმყოფება ნამდვილ სამხედრო სამსახურში და სამხედრო მეციდანიობისა და აგრეთვე სამხედრო პირებთან სამსახურებრივ ურთიერთობის დროს ვალდებულია დაემორჩილოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის წესდებით სამხედრო მსახურთათვის დაწესებულ ყველა წესებს.

ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა არის ძნელი, მაგრამ ამასთან ერთად ფრიად საპატიო მივსცეთ ჩვენს სახელოვან მუშურ-გლეხურ არმიას სანიმუშო, უმაღლესი დისციპლინით გამსჭვალული, პროლეტარიატის დიქტატურის საქმისადმი თავდადებული, პოლიტიკურად მომზადებული და თანამედროვე სამხედრო ცოდნით ყოველმხრივ შეიარაღებული მეთაურები არტილერიისა და ქვეითი ჯარისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტფ. სახ. უნივერსიტეტი ამ ძნელ, მაგრამ საპატიო ამოცანას, თვით სტუდენტთა მასების აქტიური და შეთანხმებული მუშაობით, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების დახმარებით, უნივერსიტეტის სამკუთხედის ხელმძღვანელობით, ღირსეულად შეასრულებს.

ნ. ბედიანიშვილი.

მედგრად ვიბრძოლოთ მაღალი ცოდნისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის,

ყოველწუთს მზად ვიყოთ სოციალისტურ სამშობლოს და ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად!

სტალინის რაიონი 7 ნოემბრის დემონსტრაციაზე. მოაქვთ ამხ. სტალინის ფიგურა

რით ვხვდებით მეთექვსმეტე ოქტომბერს

პირველ ხუთწლედში ჩვენ შევქმენით **მძიმე ინდუსტრია** — სოციალისტური საზოგადოების მატერიალური ბაზა.

პირველ ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ შევქმენით მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, შევქმენით მძლავრი მანქანათმშენებლობა; ყველაფერი ეს შევქმენით **„ისეთ მასშტაბში და ფარგლებში, რომლის წინაშე იჩრდილება ევროპის ინდუსტრიალიზაციის მასშტაბი და ფარგლები“ (სტალინი).**

1928 წ. საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა მანქანათმშენებლობის მსოფლიო პროდუქციაში უდრიდა 4 პროცენტს, **1932 წ.** — 20 პროცენტზე მეტს.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში საბჭოთა კავშირი გადაიქცა ყველაზე უფრო მსხვილი მიწადმოქმედების ქვეყნად.

1928 წელს საბჭოთა კავშირში იყო 26 მილიონი ერთპიროვნული მეურნეობა.

1932 წელს გვქონდა 210 000 მექანიზებული მსხვილი კოლექტიური მეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 14,7 მილიონ კომლს.

შექმნილია: **2700** სამანქანო-სატრაქტორო სადგური, **5000** საბჭოთა მეურნეობა.

სოფლის მეურნეობამ პირველი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი ინდუსტრიიდან მიიღო **70 000** ავტომობილი, **13 500** კომბაინი; სასაქონლო პურის პროდუქცია **500-600 მილიონ** ფუთიდან გაიზარდა **1,2-1,4 მილიარდ** ფუთამდე.

რკინისგზის ტრანსპორტი გამდიდრდა **2666** ახალი მძლავრი ორთქლმავლით; ავაგეთ ლუგანსკის მძლავრი ორთქლმავლების სამშენებლო ქარხანა, რომელსაც შეუძლია **1000** მძლავრი ორთქლმავლის გამოშვება. დაიწყო სოციალისტური ტრანსპორტის სიამაყის — მძლავრი ორთქლმავლის **„ი ს“ („იოსებ სტალინი“)** მასიურად გამოშვება. ათასეულ კილომეტრ ახალ სარკინისგზო ხაზებით საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეები დაუკავშირდენ ცენტრს.

უდიდესი მიღწევები გვაქვს საზღვაო და სამდინარეო ტრანსპორტში: შორეულ ჩრდილოეთში გაკაფულია ახალი სანაოსნო გზები, ავაგეთ თეთრი ზღვის არხი, დნეპრი სანაოსნო გავხადეთ მთელს მის სიგრძეზე, შენდება ახალი დიდი არხი, რომელიც ვოლგას შეაერთებს მდ. მოსკვასთან.

მეორე ხუთწლედის პირველ წელიწადს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით წარმატებით ასრულებს პირველ ხუთწლედში აგებული გიგანტების ათვისების, ახალი მოწინავე ტექნიკის დაუფლების ამოცანას.

მეორე ხუთწლედის პირველი წლის 9 თვის განმავლობაში მძიმე მრეწველობის პროდუქცია წარსული წლის იმავე პერიოდთან შედარებით **გაიზარდა 9,6** პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — **14,2** პროცენტით. ამრიგად წარმატებით სრულდება ამხ. **სტალინის** მითითება მრეწველობის პათოსის ლოზუნგის შევსების შესახებ ათვისების პათოსით.

1933 წელი წარმოადგენს წელიწადს ახალი უდიდესი გამარჯვებებისა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე: ამუშავებულია **ჩელიაბინსკის მუხლოვან ტრაქტორების ქარხანა, ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, დნეპრის ალიუმინის კომბინატი, ბურთულა საკისურების ქარხნის („შარიკოპოდშიპნიკ“) მეორე რიგი, ბობრიკის ქიმიური კომბინატი, რიონჰესი, ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა;** ამუშავდა **5 ახალი ბრძმედი და 12 ახალი მარტენი, საძირკველი ჩაეყარა ალიუმინის წარმოებას ამიერ-კავკასიაში.**

უდიდესი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე **კოლმეურნეობების ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევის და ყველა კოლმეურნეების შეძლებულებად გადაქცევის** ლოზუნგის **რეალიზაციის საქმეში:** ბოლშევიკურად ჩავატარეთ მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვა და მოსავლის აღება, მთელ რიგ რესპუბლიკებსა და რაიონებში მოსავლიანობა თვალსაჩინოდ გაიზარდა; მრავალ კოლმეურნეობაში თითეულ კოლმეურნეს **შრომა-დღეზე მოუწია 6-12 კილო ხორბალი.** ამ წარმატებების მოპოებაში უდიდესი როლი ითამაშეს ამხ. **სტალინის** ინიციატივით შექმნილმა პოლიტგანყოფილებებმა.

სოცმშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად **მკაფიოდ გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა.** ბურჟუაზიული ქვეყნების წარმომადგენლებიც კი იძულებული არიან აღნიშნონ ის მკვეთრი განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა პოლიტიკურ, მატერიალურ და საყოფაცხოვრებო პირობებში.

შექმნილია მტკიცე საძირკველი ახალი კულტურული ცხოვრებისათვის, რაც პირველ ყოვლისა თვალსაჩინოდ მოსჩანს სიკვდილიანობის შემცირების მიხედვით: სიკვდილიანობა ჯერ კიდევ 1931 წელს 31,5 პროცენტით იყო შემცირებული 1913 წელთან შედარებით. პარალელურად, ასევე თვალსაჩინოდ იზრდება საბჭოთა კავშირის მოსახლეობაც: საბჭოთა კავშირის 160 მილიონიანი მოსახლეობის ყოველწლიური ნაზრდი უდრის იმ ნაზარდს, რამდენსაც იძლევა ევროპის 360 მილიონიანი მოსახლეობა.

უდიდესი მიღწევებია მოპოებული მეცნიერებისა და ტექნიკის ფრონტზე. ჩვენ უკვე გვაქვს მსოფლიო სახელის მქონე ათეული სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტები, უდიდესი ქსელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამეცნიერო მუშაკების მძლავრი არმია. საბჭოთა მეცნიერებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანეს მეცნიერების საერთო საგანძურში.

საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ მიდის წინ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით.

ბოლშევიკურ კადრებს მოუმზადებთ საბჭოებს — პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს

სოციალიზმის მშენებლობის მთლიან პროცესში, ისე როგორც კერძოთ, ამ მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, როგორც სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში უმძლავრეს იარაღს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უდავოა, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის ურყევად გატარების საფუძველზე სოციალიზმმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და საკითხი „ვინ-ვის“ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გადაჭრილია სოციალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს კლასობრივი მტერი მთლიანად განადგურებული იყოს და რომ ყველა სიძნელეები სოციალისტური მშენებლობის ხაზით დაძლეულია. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პროლეტარული დიქტატურის ორგანოების გაძლიერება, საბჭოთა მმართველობის აპარატის გაჯანსაღება და გარდაქმნა იმ ახალ ამოცანებთან შეფარდებით, რომელნიც სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე აქტუალურ ხასიათს ატარებენ, საბჭოთა მშენებლობის ძირითადი საკითხია. ასეთ პირობებში პოლიტიკურად შერჩეულ და მარქსისტულ-ლენინურ თეორიის საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილ ახალ კადრების მომზადების საქმეს საბჭოთა აპარატის სხვადასხვა დარგებისათვის განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

რა მიღწევები გვაქვს ამ ძირითადი ამოცანის განხორციელების ხაზით ჩვენ ფაკულტეტზე?

უდიდესი მნიშვნელობა ამ მხრივ უნდა მიეცეს საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის დარგისათვის ახალ სპეციალისტების მომზადების საქმის უნივერსიტეტის სისტემაში შეტანას და იმ საფუძვლიან გადამუშავებას, რომელიც ამასთან დაკავშირებით ყოფილ საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის სასწავლო გეგმამ განიცადა. ეს უკანასკნელი სამ-წლიან სასწავლო პერიოდით შეზღუდული და ვიწრო პრაქტიკოს - სპეციალისტის მომზადებისათვის გათვალისწინებული, ვერ აძლევდა მსმენელს საფუძვლიან მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას, ვერ აძლევდა მას სოციალისტური მშენებლობის პერიოდის რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში გარკვევის უნარს. ახალი სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს ფაკულტეტის საქმიანობა, ხუთი წლის სასწავლო პერიოდის გასწვრივ შლის საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის საფუძვლიანი შესწავლისათვის ფართო სამოსწავლო მასალას, რომელმაც თავის შედეგში უაღრესად კვალიფიცირებული ახალი კადრები უნდა მოგვცეს პროლეტარიატის დიქტატურის სათანადო ორგანოებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავზე საჭიროა შევჩერდეთ იდეოლოგიურ ფრონტზე, მდგომარეობის დახასიათებაზე საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის თეორიის დარგში. საკმაოდ ცნობილია, რომ არც ისე შორეულ წარსულში საქართველოს სინამდვილეში ჩვენი დარგი წარმოადგენდა იმ არეს, რომელზედაც ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ბურჟუაზიულ-იდეალისტური თეორიები. უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ საგრძნობი გარდატეხის წინაშე ვართ; იდეალისტურ მსოფლმხედველობის მატარებელთა დიდმა ნაწილმა აშკარად დაჰგმო თავისი იდეალისტური წარსული და მისგან გაიმიჯნა. ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავი ჩვენთვის უნდა გახდეს, ლოზუნგათ ამ პროცესის შეუსუსტებელი გაღრმავებისათვის.

პროფ. ირ. სურგულაძე

მზად ვიყოთ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად

საბჭოთა ქვეყანა ზეიმობს ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავს, თავის გიგანტურ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, მოპოებულს ლენინის პარტიისა და მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის ამხ. **სტალინის** მეთაურობით.

საბჭოთა ქვეყანა ერთად-ერთი ქვეყანაა მთელს მსოფლიოში, რომელიც შეუჩერებლად, ნამდვილად შვიდმილიანი ნაბიჯებით მიდის წინ სამეურნეო და კულტურული აღორძინების გზით.

ოქტომბრის 16 წლის თავი — ეს არის უდიდესი გამარჯვება სოციალიზმის, ეს არის ლახვარი კაპიტალისტური წესწყობილებისათვის, რომელიც, საყოველთაო კრიზისის რკალში მომწყვდეული, ამაოთ ეძებს გამოსავალს ამ რკალიდან. ისევე შეუჩერებლად, როგორც ჩვენ მივდივართ სამეურნეო და კულტურული წინსვლის გზით იზრდება წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკში: იზრდება კლასობრივი წინააღმდეგობანი ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შიგნით, იზრდება წინააღმდეგობანი ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. სახელმწიფო მმართველობის დაჩქარებული ფაშიზაციით, მუშათა კლასზე შეტევის გაძლიერებით და ახალი ომის მზადებით აპირობენ კაპიტალისტები თავის დაღწევას კრიზისისაგან.

საჭოთა კავშირი დღიდან თავისი არსებობისა გადაუხრელად ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას. ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. მთელი რიგი ქვეყნები, რომლებსაც უკანასკნელ დრომდე აშკარად მტრული პოზიცია ეჭირათ საბჭოთა კავშირის მიმართ, ეკონომიური კრიზისის და ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკური ძლევამოსილების ზრდის ზეგავლენით იძულებული ხდებიან რადიკალურად შესცვალონ დამოკიდებულება ჩვენს მიმართ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ანტისაბჭოთა ინტერვენციის, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე მოისპო, გაქრა. ჩინეთის გენერლების ხროვაზე იოლი გამარჯვებით დაბრუებული იაპონიის იმპერიალიზმი არ კმაყოფილდება მანჯურიის დაპყრობით და ოცნებობს საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის დაპყრობაზე. იაპონიის სამხედრო ხროვა უკვე არ მალავს, რომ მისი გეგმები, მისი იარაღის ქლარუნი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მსოფლიო ფაშისტური პრესაც ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ომის პროპაგანდასთან ერთად აშკარად მოუწოდებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაკენ.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ განაგრძობს თავის სამშვიდობო მშენებლობას და ამასთან ერთად გააცხოველებს ზრუნვას თავის ერთგულ გუშაგზე — წითელ არმიაზე.

„არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას, არც ერთ გოჯას ჩვენი მიწისას არ დავუთმობთ არავის“ (სტალინი).

საბჭოთა ქვეყანამ ოქტომბრის 16 წლის თავზე თავისი მთავრობის თავმჯდომარის პირით მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა ომის პროვოკატორების გასაგონად:

„თუ ახლა ჩვენ მთავარ ამოცანად მიგვაჩნია მშვიდობიანობის ჩაშლისაკენ მიმართული ყოველგვარი ავანტიურის მხილება, წითელი არმიის და ჩვენი თავდაცვის განმტკიცებისათვის ბრძოლა და ამავე დროს შემდგომაც სამშვიდობო პოლიტიკის და ჩვენს მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის განმტკიცების ხაზის განუხრელად გატარება, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში ჩვენი ამოცანა მხოლოდ ერთი იქნება — ეს ამოცანაა: მოწინააღმდეგის სრული განადგურება და ჩვენი წითელი არმიის გამარჯვება“.

დე, ნუ დაივიწყებენ ამას ომის ორგანიზატორები. საბჭოთა კავშირს მოეპოება, თუ რითი შეხვდეს თავდამსხმელებს. ჩვენ არა მარტო გაუსწორდით ტექნიკურად და ეკონომიურად მოწინავე ქვეყნებს, არამედ შესაძლებლობა გვაქვს დავამზადოთ თავდაცვის უახლესი საშუალებები. იაპონიის იმპერიალისტებმა მათი დამქაშების — მანჯურიის გენერლების სახით სერიოზული გაკვეთილი მიიღეს 1931 წელს, მათ დაინახეს, თუ რას ნიშნავს წითელი არმიის ძლევამოსილება. დე ნუ დაივიწყებენ ამ გაკვეთილს ნურც იაპონელი გენერლები და ნურც სხვა მათი მოტრფიალეები.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა როგორც ერთი კაცი მუდამ მზად არის ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

ვამაგროთ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლევამოსილება!

ვიყოთ ფხიზლად!

ე. წულაძე



7 ნოემბერი ტფილისში.—ტრიბუნა მთავრობის სასახლესთან ც

ბრძოლებისა და გამარჯვებების ხუთმეტი წელი

კავკასიის წითელ დროშოვანი არმია არის პირმშო შვილი მეთერთმეტე არმიისა, რომელიც წარმოიშვა 1917 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენდა განსაკუთრებით გააფთრებულ მწვავე კლასობრივ ბრძოლის ასპარეზს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თეთრ-გვარდიელთა მრავალფეროვანი მასები ფართო ნიაღვრად დაიძრენ სამხრეთისაკენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მათ აქტიურ დახმარებას გაუწევდა მდიდარი ყაზახობა, რომელიც ცარიზმის დროს მთელ რიგ პრივილეგიებით სარგებლობდა. თეთრგვარდიელებს იმედი ჰქონდათ, რომ სწორედ ამ ფენებიდან შექმნიდენ მძლავრ არმიას, რომელიც გაილაშქრებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ კონტრრევოლუციონურ ძალებს წინ აღუდგა ნორჩი წითელი მე-11 არმია, რომელიც შედგებოდა მუშების, მშრომელ გლეხების და წითელ გვარდიელთა რაზმებისაგან. არსებობის პირველ დღიდანვე მე-11 არმია განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა, (მომარაგების ნაკლებობა, მეთაურთა შემადგენლობის და საომარი მასალის მწვავე კრიზისი). აი რას სწერდა ამხ. სერგო ორჯონიკიძე:

ამიერ-კავკასიის საზღვრებთან წითელ არმიის ყოფნის ყოველი დღე ამიერ-კავკასიის მშრომელებში რევოლუციურ აქტივობას აღვიძებდა.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს დედა-ქალაქებში ყალიბდებოდა რევკომები, მთელ რიგ ქალაქებში ხდებოდა აჯანყებები და მე-11 არმიის სარდლობას მოუწოდებენ დახმარებისაკენ.

ამ.-კავ. წითელდროშოვანი არმიის მთავარსარდალი ამხ. სმოლინი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე-11 არმია ხდება ამიერ-კავკასიის ნორჩი საბჭოთა ხელისუფლების ფხიზელ დარაჯად.

ამიერ-კავკასიის ნაცრესპუბლიკებში იწყება ნაცსამხედრო ნაწილების შედგენა.

მთავარი როლი ნაციონალური ნაწილების ორგანიზაციის და განმტკიცების საქმეში ეკუთვნის ლენინს, სტალინს, ფრუნზეს და ვოროშილოვს.

ამხ. ლენინმა სტალინის მეშვეობით გადასცა საქართველოს რევკომს: „საჭიროა დაუყოვნებლივ შეაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხობა და შექმნათ მტკიცე ქართული წითელი არმია“. უფრო გვიან ილიჩი სწერდა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს: „ამხ. სერგო, აბსოლუტურად საჭიროა, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართული წითელი არმიის აუცილებლად გაძლიერების შესახებ“.

ფენილია სკოლებით, მეცნიერული დაწე-

თუ თავის არსებობის პირველ პერიოდში ნაციონალური ნაწილები მოისუსტებდა, დღეს იგი საკმარისად მომწიფდა, გაიზარდა პოლიტიკურად, გაკაჟდა, აითვისა ბრძოლის ახალი ტექნიკური საშუალებანი და მხარში უდგას დიდი საბჭოთა კავშირის წითელ არმიას.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმია ამჟამად წარმოადგენს მ. გ. წ. არმიის მტკიცე ინტერნაციონალურ მებრძოლ რაზმს.

1923 წ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმ. კომიტეტი ადგენს: ვინაიდან მე-11 არმიას დიდი დამსახურება მიუძღვის ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში და ამიერ-კავკასიის მშრომელთათვის ძმური დახმარების აღმოჩენის საქმეში, **ებოძოს მას** წითელი **დროშა-ორდენით,** ხოლო არმიას კი ეწოდოს **კავკასიის წით. დროშოვანი არმია.**

გაუმარჯოს კავკ. წით. დროშ. არმიის 15 წლისთავს!

გაუმარჯოს წითელი არმიის ხელმძღვანელებს — კომ. პარტიას და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს წით. არმიის პირველ წითელ არმიელს — რევსამხ. საბჭოს თავმჯდომარეს და წით. არმიის ბელადს ამხ. **ვოროშილოვს!**

დ. ჩიხლაძე

აღლა დავიჭერთ პირველობის და გამარჯვების დროშას

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანს ამხ. **პეტრე აღნიაშვილს;**
ს. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის მდივანს და საქ. ფიზკულტურის უმ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ს. აკოპოვს;**
საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანს ამხ. **მიშა გობეჩიას;**

საბჭოთა ფიზკულტურის 10 წლის თავის მოახლოვებასთან დაკავშირებით, ტფილისის სახ. უნივერსიტეტში გაცხოველებული იქნა ფიზკულტურული მოძრაობა. მოკლე ხნის განმავლობაში ფიზკულტურელთა რიგებში ჩაბმული იქნა 2.000 სტუდენტი, მათ შორის 700 ქალი. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაჩაღებული იქნა მოსამზადებელი მუშაობა ფიზკულტურის აღლუმისათვის, ფიზკულტურელთა აღლუმზე უკეთ გასვლისათვის ფართედ გავშალეთ სოც.-შეჯიბრება ფაკულტეტებსა, ჯგუფებსა და ცალკე სტუდენტებს შორის. პარტიული, კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციების აქტიური მუშაობით, ტფილისის სახ. უნივერსიტეტმა დაიჭირა პირველი ადგილი მთელ რაიონში, ფიზკულტურელთა აღლუმზე და მიიღო პირველობის დროშა.

ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა იმის შედეგათ, რომ: ფიზკულტურის 10 წლის თავის ჩატარების პოლიტიკური მნიშვნელობა შეგნებული ჰქონდა თვითეულ სტუდენტს; გატარებული იქნა მტკიცე ბოლშევიკური დისციპლინა ფიზკულტურელთა რიგებში. პარტიული, კომკავშირის და პროფესიონალური ორგანიზაციები აქტიური მონდომებით, ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ყოველდღიური ხელმძღვანელობით და დახმარებით იბრძოდენ აღლუმისათვის უკეთ მოსამზადებლად.

ვღებულობთ რა ორჯონიკიძის სახ. რაიკომიდან გადმოცემულ გამარჯვებისა და პირველობის დროშას, ვსდებთ პირობას, რომ სოციალისტური მშენებლობისათვის მეცნიერების ცოდნით შეიარაღებული ბოლშევიკურ კადრების მომზადებასთან ერთად მივსცეთ ქვეყანას ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის სწორი ხელმძღვანელობით მიღწეულ გამარჯვებათა განმტკიცების საფუძველზე, კიდევ უფრო გავშლით ფიზკულტურულ მუშაობას, ჩავაბამთ ფიზკულტურელთა რიგებში სტუდენტობას მთელი 100 პროც.-ით და ვიბრძოლებთ ფიზკულტურული მომზადების მაღალი მაჩვენებლებისათვის.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ამხ. **სტალინს.**

გაუმარჯოს ფიზკულტურულ მოძრაობას და მის ორგანიზატორს, ამიერ - კავკასიაში, ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. **ლ. ბერიას.**

საქ. კ. პ. (ბ) სახუნტის პარტკომის მდივანი **ს: მინდაძე.**

ამხ. ლ. აღნიაშვილის დეპეშა

კისლოვოდსკიდან.

ტფილისის უნივერსიტეტი
პარტკომის მდივანს ამხ. მინდაძეს

მხურვალე სალამი პარტიულ კომიტეტს, პარტკომკავშირულ ორგანიზაციებს და სამხედრო ხელმძღვანელობას იმ ბრწყინვალე გამარჯვებისთვის, რომელიც ტფ. სახ. უნივერსიტეტის ფიზკულტურელებმა მოიპოვეს 8 ნოემბერს ტფ. ფიზკულტურელთა აღლუმში.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორი **ლ. აღნიაშვილი.**

ლენინური კომკავშირი—ლენინის პარტიის საიმედო დასაყრდენი და თანაშემწე

გაუმარჯოს კომკავშირულ მოდგმას—ბოლშევიკური პარტიის ხუთმილიონიან რეზერვს!

წინ პარტიის ხელმძღვანელობით

15 წელი.. დიდი შესანიშნავი მიჯნაა! უდიდესი და ბედნიერი შედეგები! ძნელი, მაგრამ მშვენიერი გზა!

ერთი მუჭა ახალგაზრდობა, რომელმაც თხუთმეტი წლის წინად ააფრიალა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროშა, განმტკიცდა, დავაჟკაცდა და გაიზარდა მრავალმილიონიან ორგანიზაციად, გადაიქცა მრავალმხრივი სახელმწიფო საქმიანობის ორგანიზაციად, გადაიქცა [illegible] მიანობის გიგანტურ სკოლად, აღზარდა ათეული და ასეული ათასი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ინჟინერი, პროფესორი, მხატვარი და მეცნიერი.

მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელმაც დაამხო ყველა საფუძვლები ადამიანის ექსპლოატაციისა ადამიანის მიერ, და რომელიც ქმნის ახალ საზოგადოებრივ სოციალისტურ წყობილებას, შეიძლებოდა წარმოშობილიყო, გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო ასეთი მძლავრი ორგანიზაცია, როგორიც არის ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი.

მხოლოდ ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას **ლენინის** და მისი საუკეთესო მოწაფის — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მეთაურობით შეეძლო გამოეზარდა ორგანიზაცია, რომელმაც დაიმსახურა მთელი ქვეყნის საერთო პატივისცემა, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა პროლეტარების უდიდესი ყურადღება და პროლეტარული რევოლუციის მტრების გააფთრებული სიძულვილი.

15 წლის თავს ჩვენ ვხდებით შემოწმებულნი კლასობრივ ბრძოლებში. მრავალმილიონიან კომკავშირის გულს ამკობს ორი უაღრესად საპატიო ორდენი, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა ჩვენი კავშირი. ორჯერ წითელდროშოსანმა კომკავშირმა დაიმსახურა თავისი სახელი — ბოლშევიკური პარტიის პირველი თანაშემწის — თავისი თავდადებით ლენინის საქმისადმი, თავისი ბრძოლით ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზის, თავისი **სიმხნევით,** თავის მჩქეფარე, დაუშრეტელი ენერგიით, თავის უძლეველ ახალგაზრდული სიმტკიცით ბრძოლაში.

კომკავშირი— ეს არის რევოლუციონური კადრების მშვენიერი სკოლა. სახელმწიფოს მმართველობის უაღრესად **საპასუხისმგებლო** პოსტებზე, უდიდესი ქარხნების, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის სათავეში, წითელი არმიის საკომანდო პოსტებზე, საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნების მწვერვალებზე იცავენ თავის მებრძოლ სტალინურ ვახტს მრავალ ათასი ბოლშევიკები, რომლებმაც თავისი აღზრდა დაიწყეს ლენინური კომკავშირის რიგებში.

ლენინური კომკავშირის წარმატებები — ეს არის ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ერთ ერთი გამარჯვება, მას და მხოლოდ მას ეკუთვნის პატივი მრავალმილიონიან ლენინურ კომკავშირის შექმნისა და განმტკიცებისა.

ჩვენი წარმატებები კიდევ მეტს გვავალებენ, 15 წლის იუბილეის დღეებში თითოეული კომკავშირელი, თითოეული ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე ვალდებულია ერთხელ კიდევ შეამოწმოს თავისი მუშაობა, კიდევ მეტის ენერგიით მოჰკიდოს ხელი სოციალისტური ქვეყნის შემდგომ განმტკიცებას.

და თითოეულ ჩვენგანს მტკიცედ უნდა [illegible] ამხ. **სტალინის** სიტყვები კომკავშირულ [illegible] და კომკავშირელ ქალე[illegible] [illegible] ახალგაზრდობის შე[illegible] [illegible] დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე:

„...და სწორედ იმიტომ, რომ ახალგაზრდობა ყველაზე უფრო ადვილად ლად ითვისებს ლენინის მოძღვრებას, სწორედ ამიტომ იგი მოწოდებულია წაიყვანოს წინ ჩამორჩენილნი და მერყევნი. მართალია, მას არ ჰყოფნის ცოდნა, მაგრამ ცოდნა — შეძენის საქმეა. დღეს არა აქვს იგი, ხვალ ექნება. მაგრამ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ისწავლონ და კიდევ ისწავლონ ლენინიზმი. ამხანაგო კომკავშირელებო! შეისწავლეთ ბოლშევიზმი და წაიყვანეთ წინ მერყევნი! ნაკლები ილაყბეთ, იმუშავეთ მეტი—და საქმე უსათუოდ გამოგივათ“.

ბელადის ამ სიტყვებში მოკლედ და მკაფიოდ, გენიალურად, უბრალოდ არის მოცემული ჩვენი მუშაობის პროგრამა.

ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა ცოდნა გვაქვს. და რომ წარმატებით ვიმუშაოთ მსოფლიო ტექნიკის საუკეთესო დაზგებთან, რომ ვიყოთ ორგანიზატორები მსოფლიოში უდიდეს და თავის სოციალისტური ტიპის მიხედვით ერთად-ერთ სოფლის მეურნეობაში, რომ წინ წავსწიოთ საბჭოთა კულტურა, საჭიროა ეპოქის **სიდიადის შესაფერი ცოდნა, ცოდნა და ერთხელ კიდევ ცოდნა.**

ამიტომ ჩვენი **სახელისა და ღირსების საკითხად უნდა ჩავთვალოთ კომკავშირის 15 წლის თავთან დაკავშირებით საკ. ალკკ ცეკას ისტორიულ მიმართვაში აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულება.**

ჩვენ ისე უნდა დავეუფლოთ სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკას, რომ **თვითეული კომკავშირელი იყოს თავისი საქმის ინჟინერი.** საზოგადოებრივ-ტექნიკური გამოცდა, დაწყებული კომკავშირის თაოსნობით, უნდა გახდეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ.

ჩვენ ნაკისრები გვაქვს ვალდებულება უახლოესი წლების განმავლობაში ავიღოთ საშუალო განათლების სიმაღლეები, 15 წლის იუბილე ხვდება ახალი სამოსწავლო წლის დასაწყისს. შეუფერებელი ტრაბახობა იქნებოდა აღვეთქვა ბრძოლა ცოდნის შეძენისათვის საშუალო სკოლის ფარგლებში და არ დაგვეწყო ეს გეგმიანი, სისტემატიური, ენერგიული მუშაობა.

სოციალიზმის მშენებლობაში პრაქტიკული მონაწილეობის ყოველდღიურად გაძლიერებასთან ერთად ჩვენ უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ რევოლუციონური პრაქტიკა ძლიერია მხოლოდ მჭიდრო კავშირში რევოლუციონური თეორიის შესწავლასთან.

ჩვენ [illegible] რაზე ვისწავლოთ ბრძოლა! მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მოძღვრება — აი ჩვენი იარაღი. მისი ყოველმხრივ დაუფლება — აი ლოზუნგი თვითეული ახალგაზრდა პროლეტარისა და კოლმეურნისათვის.

ამ ცოდნათა ერთობლიობა უნდა მოიპოვოს თითოეულმა კომკავშირელმა — ვაჟმა და ქალმა. „ცოდნა—შეძენის საქმეა“, მაგრამ მისი შეძენა შეიძლება მხოლოდ სასტიკი ბრძოლით, ენერგიული ბრძოლით. შეგვწევს, თუ არა ჩვენ ძალები ამ ბრძოლისათვის? ამ კითხვაზე უპასუხებს ლენინურ კომკავშირის მთელი 15 წლის ისტორია. **პარტიისა და მისი ბელადს ამხ. სტალინის მეთაურობით ჩვენ სასახელოთ გამოვალთ ამ ბრძოლებიდან, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოთ და კაპიტალისტური ბანაკიდან ჩვენი მტრებისათვის გულის მოსაკლავად.**

ჩვენ წინ უნდა წავიყვანოთ მერყევნი და ჩამორჩენილნი.

ბელადის ამ ლოზუნგის შესასრულებლად ჩვენ ხელთ გვაქვს შემოწმებული ლენინური მეთოდი სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობისა. 15 წლის თავს კომკავშირი ხვდება დამკვრელობის ახალი აზვირთებით. ქარხნებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში იზრდება 15 წლის სახელობის ახალი ათასეული დამკვრელი ბრიგადები. **პირადი მაგალითის ძალით ამ ბრიგადებში ჩვენ წინ გავუძღვებით ჩამორჩენილთ და მერყევთ.**

ამხ. **სტალინის** მითითებამ მთელს კომკავშირი დარაზმა კიდევ უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის ლაყბობასთან და მუშაობის კანცელარიულ მეთოდებთან.

გავანადგუროთ დახავსებულობა, გავანადგუროთ ფრაზეოლოგია, ლიკვიდაცია უყოთ ზედმეტ სხდომებს, გავსწყვიტოთ ინერტულობა, რომელსაც ადგილი აქვს აქტივის ცალკე რგოლებში —აი ჩვენი მუშაობის გარდაქმნის აუცილებელი პირობები, ნაკლები ლაყბობა, — აი მაშინ ჩვენ ნამდვილად გარდავქმნით მუშაობას“ (კოსარევი).

ვავლებთ რა თვალს კომკავშირის 15 წლის გზას, ჩვენ ვხედავთ ცხოვრებას, სავსეს პოლიტიკური შინაარსით, სავსეს შეურიგებელი შეტევით კლასობრივად მტრულ ელემენტებზე. ჩვენი კავშირი წარმოიშვა, იზრდებოდა და კაჟდებოდა კლასობრივი ბრძოლის ცეცხლში, პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში. ლენინური კომკავშირის ისტორიაში არ ყოფილა ეტაპი, როცა იგი განზე იდგა კლასობრივ მტრებთან და მათ მემარჯვენე და „მემარცხენე“ აგენტურისაგან ბრძოლიდან. ვერც ტროცკისტებმა, ვერც მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, ვერც „მემარცხენეებმა“, ვერც ერთმა „შინაკავშირულ“ ოპოზიციებიდან ვერ გადაახვევინა კომკავშირს ლენინური გზიდან.

როგორც არასდროს პოლიტიკურად გამაგრებული შედის ის მეთექვსმეტე წელში და ვაი იმათ, ვინც შემდეგშიაც გაბედავს მიმართოს კომკავშირს, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობას ცდებით — იპოვოს მომხრეები ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიასთან საბრძოლველად, ვაი იმათ, ვინც გებედავს მიმართოს კომკავშირს იერიშით პარტიის გენერალურ ხაზზე.

დროშა გამარჯვებების, რომლებიც მოპოებულია კომკავშირის მიერ ჩვენი პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მხ. **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით, მისი სახელოვანი თანამებრძოლების — ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის ამხ. კაგანოვიჩისა და პოსტიშევის ყოველდღიური ხელმძღვანელობით, არ დაიხრება რა გრიგალიც არ უნდა ხრიდეს მას, ამ დროშის სიწმინდე წარმოადგენს ჩვენს პროლეტარულ სიამაყეს, ჩვენს კლასობრივ ღირსებას.

„კომსომ. პრავდა“).

ვიბრძვით მაღალი მაჩვენებლებისათვის

საკ. ცაკის 19 სექტემბრის და პარტიის მთელი რიგი დადგენილებები უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე აყენებენ უდიდესი საპასუხისმგებლო მნიშვნელობის ამოცანებს. ეს ამოცანები მათ უნდა გადაჭრან ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლით და მუშაობის ბოლშევიკური ტემპების გაშლით. უმაღლესი სასწავლებლები ჰქმნიან მარქს-ლენინ-სტალინის თეორიით შეიარაღებულ კადრებს, მებრძოლებს იმისთვის, რომ „დავეუფლოთ ტექნიკას და დავიპყრათ მეცნიერების მწვერვალები“. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროლეტარული სტუდენტობა გახდეს სოციალისტური მეურნეობის და სოციალისტური კულტურის [illegible] მშენებელი.

ამ უდიდეს ვალდებულებათ ღრმა შეგნებით გამსჭვალული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია რექტორატსა და პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად აწარმოებდა და აწარმოებს გაშლილ მუშაობას იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ნამდვილი მტკიცე

ამხ. კოსარევი
საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი

პროლეტარული კადრების აღზრდა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გადასატყორცნად და იქ ბოლშევიკური მუშაობის საწარმოებლად.

მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ კიდევ წარსულ წელს ინსტიტუტების რეორგანიზაციისა და უნივერსიტეტის დაარსების გამო კომკავშირმა გვიან დაიწყო მუშაობა, პარტიული ორგანიზაციის სწორი ხელმძღვანელობით საგრძნობი მუშაობა ჩატარდა სასწავლო საწარმოო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომკავშირელთა მიერ ლექციების გაცდენა და დაგვიანება ლექციებზე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, საგრძნობლად გაიზარდა დამკვრელთა რაოდენობა, ფართოდ გაიშალა სოც. შეჯიბრება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის.

საერთოდ სასწავლო წლის დამთავრებასთან ერთად კომკავშირის ორგანიზაციამ დაამტკიცა ნამდვილი ავანგარდული როლი ყველა ფრონტზე მუშაობის საქმეში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ცხადია დეფექტებსაც ჰქონდა ადგილი.

ზოგიერთმა უჯრედებმა ვერ შესძლეს კომკავშირელთა შორის სასწავლო დისციპლინის **განმტკიცება,** არ ხდებოდა თვითეული წევრის სისტემატიური შესწავლა და არ ღებულობდენ გადამჭრელ ზომებს უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი კომკავშირის უჯრედები ძალზე სუსტად მუშაობდენ: არ ჰქონდათ შეგნებული, რომ თვითეული კომ. ჯგუფ. ორგანიზატორი პასუხისმგებელია მისი ჯგუფის კომკავშირელის, როგორც სასწავლებელში მუშაობის აგრეთვე სასწავლებლის გარეთ მოქმედებაში, რომ ის (კომჯგუფ ორგანიზატორი) პასუხს აგებს მისი ჯგუფის წევრის ყოველგვარ მოქმედებაში; აღსანიშნავია ისიც, რომ ორგ. მასიური მუშაობა ვერ იყო იმ გვარად გარდაქმნილი, რომ მას მთლიანად ეპასუხა სასწავლო-საწარმოო გეგმების შესრულების და მარქსისტული თეორიის უფრო უკეთესად დაუფლების საქმისათვის.

ამას ერთის მხრივ ისიც უშლიდა ხელს, რომ უჯრედების სტრუქტურის არსებული ფორმები არ შეესაბამებოდა ორგ. მასიური მუშაობის უკეთ მოწყობის საქმეს.

იყო უჯრედები, რომელნიც აერთიანებდენ 200,300 და ზოგიც 600 კომკავშირელს (ერთი ეკონომიური, 1 ლიტერატურული), რაც არავითარ შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი.

ასეთ დიდ უჯრედებში არ არის აქტივის აღზრდის საშუალება; არ არის ყველა კომკავშირელის შესწავლის, დავალებების რაციონალურად დანაწილების, კრებებზე სისტემატიური დასწრების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის გაძლიერების საშუალება და სხვ.

წარსული მუშაობის გამოცდილებამ უნივერსიტეტის კ. კ. კომიტეტს მისცა შესაძლებლობა იმის, რომ ახალ სასწავლო წელს შეხვედროდა მტკიცედ და სავსებით მომზადებული.

კ. კ. კომიტეტის ბიურომ დროულად მოისმინა უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის მოხსენება სწავლების დაწყებისათვის მზად ყოფნის საკითხებზე და მიღწევებთან ერთად აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები, რომელთა გამოსასწორებლად დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი.

პირველ კურსზე სტუდენტთა მიღების საქმეში კომიტეტმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა. საგამოცდო ჯგუფებზე მიამაგრა დახმარების გასაწევად კომიტეტის ბიუროს წევრები. უცხო ელემენტების გამოსააშკარავებლად ამოძრავებულ იქნა „მსუბუქი კავალერია“ და სხვ.

ახლად მიღებულ სტუდენტთა შორის ბევრია კომკავშირელი. საჭიროა მათში მტკიცე დისციპლინის შექმნა და მაგარი ხელმძღვანელობა.

რათა ორგ. მასიური მუშაობა იმგვარად გარდაიქმნეს, რომ იგი კონკრეტულად პასუხობდეს სასწავლო-საწარმოო გეგმების შესრულების საქმეს, კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ბიუროების საანგარიშო საგადარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით შეიცვალა არსებული ფორმა უჯრედებისა და განყოფილებებზე ჩამოყალიბდა დარგობრივი უჯრედები, სადაც გაერთიანებულ კომკავშირელთა რიცხვი 140 წევრს არ აღემატება თვითეულში. ეს გვაძლევს წევრთა შორის პასუხისმგებლობის განმტკიცების და ყველა კომკავშირელის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის საშუალებას.

სასწავლო მუშაობის დაწყებისთანავე კომკავშირის ორგანიზაციამ მაგარი მუშაობა გაიჩაღა, მაგრამ ეს მიღწევები არ გვაკმაყოფილებს; საჭიროა კიდევ მეტის გაკეთება.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მაგრად დავარტყათ უპასუხისმგებლობას, განმტკიცდეს დისციპლინა და ამის გარშემო დავირაზმოთ უპარტიო ახალგაზრდობაც.

ძირა რგოლების მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას, მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ კომჯგუფებში, სადაც უნდა შევარჩიოთ ხელმძღვანელთა საუკეთესო კადრი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კომკავშირის წევრების მიერ აღმოფხვრილ იქნეს გაცდენები. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სოც. შეჯიბრი ორგანიზაციულ და სასწავლო აკადემიურ მუშაობაში უჯრედებს, ჯგუფებსა და ცალკეულ ამხანაგებს შორის. აუცილებლივ უნდა ჩავაბათ სოც. შეჯიბრში და დამკვრელობაში ყველა კომკავშირელები და ლექტორები; ავანგარდული როლი თვითეულმა კომკავშირელმა საქმით უნდა დაამტკიცოს და გახდეს მაგალითის მიმცემად უპარტიო ამხანაგებისათვის.

პოლიტგანათლების გაშლისათვის მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. საჭიროა უფრო მეტი პასუხისმგებლობა და ენერგიული მუშაობა ცალკეულ უჯრედებსა და ჯგუფების მხრივ აღნიშნულ საქმის მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

საორგანიზაციო მასიური მუშაობის ახალი ფორმების საფუძველზე ბოლშევიკური ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ ორგანიზაციის შესაიარაღებლად მარქს-ლენინ-სტალინის თეორიით ფართოდ უნდა გავშალოთ ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, გამოვამჟღავნოთ და მაგრად დავარტყათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამახინჯების მცდელებს და ანტიმარქსისტულ თეორიის ყოველგვარ გამოვლინებებს.

ამ ამოცანების ბოლშევიკურად გადაჭრით მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია ნამდვილად შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელთაც მას აკისრებს პარტია და საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების საქმე

მ. მახარაშვილი

„პარტიზანულ პოემის შესავალი“

მე მახსოვს მეფის მთავრობის მუხას
ერტყა გარშემო კლდე-გალავანი;
მე მახსოვს მძლავრად რომ დაიქუხა—
მოხვდა, დაეცა ძირს ფალავანი.
იყო ზამთარი, ცას თოვლი ფლიბდა
თოვლს მოეღუნა კიპაროსის ტანი,
იყო დილა და, თოვდა და თოვდა...
და ძირს დაეცა მტერი მოსისხლე,
ვიყავ დარაჯი წყნარი და მორცხვი,
მეფის სურათი მე მქონდა გულთან,
მიკვირდა რატომ იყო ხნიერი
ღმერთი, და ვიყავ თოვლივით სუფთა.
ვიყავ დარაჯი წყნარი მორცხვი,
მშობელს წიგნისთვის ვთხოვდი აბაზებს,
ყოველ საღამოს მეჭირა ცოცხა
და ვალაგებდი სკოლის დარბაზებს
ნახევრად ტიტველს მიჩანდა ზურგი,
გაყინულ [illegible] რვეულებს ვშლიდი,
მე მქონდა ტოლი, რომელსაც ქურქი
ეცვა, და ვიყავ მუნჯი და მშვიდი,
და ყოველ დილას „ნუ გაცივდები“—
მე გულჩვილი მშობელი მთხოვდა,
ტუჩთან მიმქონდა ჩემი თითები,
სუნთქვით ვათბობდი და ისევ თოვდა.
და მივდიოდი მე გულნაკლული,
რადგან არ მქონდა წიგნი ან ფარჩა,
კარტაში ვეჯდი, როგორც დაკლული
და ჩემს ხსოვნაში ზამთარი დარჩა,
მე სკოლის დარაჯს მიბრძანეს მაშინ
მეფის ნახატი [illegible],
რა მოხდა? რატომ?—ვფიქრობდი გზაში,
თოვდა და ხელებს თოვლი ეხვია
და გონს მოვედი ჯერ კიდევ ბავშვი
რად მაკლდა წიგნი ან და ხალათი,
[illegible] ყოველ დღე თავში
რომ მყვარებია მეფე ჯალათი
ტოლ-ამხანაგებს ვებრძოდი ბრაზით
დედის გინება რომ გაებედათ
მთელს მსოფლიოში ყველაზე ნაზი
მე მხოლოდ მყავდა მეგონა დედა.
იდგა მუნჯივით ხატის წინ ცხარე
ცრემლებით ზეცას ქონებას ითხოვდა;
კერაზე ცეცხლი ენთო და გარეთ
ბარაქიანად თოვდა და თოვდა.
იყო სხვის კარზე ჯაფით მოხრილი.
და ძლივს დახურა მან სახლი ისლით
და როგორც ცხვარი იყო მოთვლილი
ყოველი ბატონის ზრახვის და რისხვის.
იყო მამა და იგივე ცხარე
ცრემლებით ზეცას ქონებას სთხოვდა
კერაზე ცეცხლი ენთო და გარეთ
ბარაქიანად თოვდა და თოვდა.
ჰქონდა იმედი: „ხვდებოდა მასაც
ცით საარაკო ბედი ქაბუკის,
ეპოვა ერთხელ ტყეში ან სადმე
ოქრო და ვერცხლით სავსე ზანდუკი.
მაგრამ გზა არავის დაუთმია
ფულით დატბათ არ ადიდებული,
ოქრო მას არსად [illegible]
და არც შემთხვევით გამდიდრებული.
[illegible] მამის ზურგს მოხვდა
[illegible] საჯარო როზგი,
იგი როზგ ქვეშ კაზაკმა მოკლა
და ეგდო როგორც ხის შავი მორი,
[illegible] ტანამ აუწია ზურგი
და შეუხუთა სუნთქვა და გული,
რატომ, იმისათვის, რომ მამა შვილი
[illegible] ტყეში გახიზნებული.
და ცეცხლ ქარხნებს ხანძარს უნთებდა
და სცემდა გლეხებს ამბოხებულებს.
მუდამ სამშობლოს სახელით ჰყეფდა
და სჭრეტდა სოფლებს ცეცხლმოდებულებს.
ქალაქს მიჰყავდა ვით ცხვრების ფარა
ამბოხებულთა მას ქარავანი,
მან ბნელ ციხეში ხალხი შეჰყარა
და ციხეს ერტყა გარს გალავანი,
და პარტიზანი კომკავშირელი
ადგა კლდის პირზე თოფს დაყრდნობილი,
მას ჯარის კაცის ეცვა შინელი
და მხრები ჰქონდა გათოვლილი
[illegible] ღამე და ქარი
[illegible] მოხუცი და გულკეთილი,
ხატის წინაშე მწუხარე ქალი
და ქოხის შიგნით გადაკეტილი
იდგა მუნჯივით დედა და ცხარე
ცრემლებით ზეცას შვილის ხსნას სთხოვდა,
კერაზე ცეცხლი ენთო და გარეთ
ბარაქიანად თოვდა და თოვდა.

ფრ. ნაროუშვილი.

კომკავშირი აკადემიური და საზოგადოებრივ მუშაობის ფრონტზე

პარტიისა და მთავრობის დადგენილება „სკოლების პროგრამებისა და რეჟიმის შესახებ“ წარმოადგენს საბრძოლო პროგრამას კ. კ. სასკოლო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავის ყოველდღიურ მუშაობით და მოწინავე როლის შესრულებით უნდა ამართლებდენ პარტიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას. **პლენუმის დადგენილებიდან**). ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის ისტორიულ გადაწყვეტილების რეალიზაციის საქმეში. წინა წელთან შედარებით განმტკიცდა სასწავლო დისციპლინა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ლექციების გაცდენა დაგვიანება არა საპატიო მიზეზთა გამო თვალსაჩინოდ შემცირებულია (7,3 %-დან 5,4 %-დე). თითქმის ლიკვიდაცია ქმნილია პროფესორ მასწავლებელთა მიერ არა საპატიო მიზეზებით ლექციების გაცდენა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ თავის დროზე გაშალა მოსამზადებელი მუშაობა 1933-34 სასწავლო წლისათვის, შედგენილია სტაბილური სასწავლო გეგმები და პროგრამები. სასწავლო გეგმებში აღკვეთილია ნაადრევი სპეციალიზაცია, მრავალსაგნიანობა, მსმენელთა ძალზე გადატვირთვა და სხვ. უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაცია ბოლშევიკურად იბრძვის სასწავლო - აკადემიური ფრონტზე, უნივერსიტეტის სასწავლო საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, შრომის სოციალისტური ფორმების ფართო გამოყენებისათვის საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის ისტორიულ დადგენილების საფუძველზე. სოცშეჯიბრში ჩაბმულია მსმენელთა 100 %, დამკვრელად თავი აქვს გამოცხადებული 45 %. გაფორმებულია, სოცშეჯიბრობის და დამკვრელობის როგორც ჯგუფური, აგრეთვე ინდივიდუალური ხელშეკრულებები. უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაციას თავის რიგებში მოეპოვება აკადემიურად და საზოგადოებრივი მუშაობაში წარჩინებული ამხანაგები, რომლებმაც გაამართლეს დამკვრელების ვალდებულებები. გასული წლის მუშაობის შეჯამების შედეგად დამკვრელობის ვალდებულებათა შესრულებისათვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პარტიის, —კომკავშირისა და პროფორგანიზაციის მიერ დაჯილდოებულ იქნა (სასწავლო ნივთებით, დამატ. გაძლიერებული სტიპენდიებით — წითელ დაფაზე ჩამოკვრით, დამკვრელთა წიგნაკების მიცემით და სხვ.) 450 კომკავშირელი. გაიზარდა კომკავშირის ავანგარდული როლი. უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის უჯრედებმა მოგვცეს საუკეთესო მაჩვენებლები. ეკონომიური და სამართლის ფაკულტეტ. კომკ. ორგანიზ. აკადემიურ ფრონტზე ავანგარდული როლი აიყვანეს 4 ნიშნამდე, მუშფაკის ორგან. — 3,8 ნიშნ. და სხვ.

უნივერსიტეტის 2000 წევრიანი კ. კ. ორგანიზაცია საკავშირო ა. ლ. კ. კ. 15 წლის თავთან დაკავშირებით ბოლშევიკურ პირობას იძლევა, რომ განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს და იბრძოლებს ახალ წარმატებებისა და გამარჯვებისათვის, სასწავლო — საწარმოო გეგმების 100% შესრულებისათვის უფრო მეტად განამტკიცებს დისციპლინას, გაზრდის დამკვრელობის %-ს, იბრძოლებს ავანგარდული როლისათვის, რომ მიაღწიოს არა ნაკლებ 4 ნიშანს, ჩააბამს კომკავშირელებს და უპარტიო მასას საზოგადოებრივ მუშაობაში, არ დაუშვებს სტუდენტთა საზოგადოებრივი მუშაობით გადატვირთვის შემთხვევებს, იბრძოლებს ა. ლ. კ. კ. ცეკას 15 წლის თავზე მიღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. უნივერსიტეტის კ. კ. ორგანიზაცია კიდევ უფრო მეტის ენერგიით იბრძოლებს სასწავლო — საწარმოო მუშაობის გასაძლიერებლად, მიიღებს ზომებს, რომ რაც შეიძლება ადრე დაიბეჭდოს და დაურიგდეს სტუდენტობას სასწავლო პროგრამები ყველა დისციპლინებში ურომლისობაც ხელს უშლის აღნიშნულ — საქმეს, აღკვეთოს მუშაობის პრაქტიკიდან სხვა ორგანიზაციების მიერ სტუდენტთა და მასწავლებელ-პროფესორთა მობილიზაციაში გაწვევას, რაც იწვევს სამეცადინო საათების გაცდენას, მიიღებს ზომებს მასწავლებელ — პროფესორთა გადატვირთვის წინააღმდეგ, რაც იწვევს წაკითხულ ლექციის ხარისხის დაცემას, მიიღებს ზომებს, რომ გაძლიერდეს კათედრების მუშაობა და ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნას სტუდენტ კომკავშირელთა ფართო მასა. ხდებოდეს სტუდენტთა აქტივობისა და აკადემიური მუშაობის სისტემატიური აღრიცხვა სწავლების პერიოდში; იბრძოლებს, რომ უკანასკნელი კურსის სტუდენტების საწარმოო პრაქტიკა წარმატებით ჩატარდეს, რომ გაძლიერებულ იქნა ლექციურ-სემინარული მეთოდი ტფილისის კ. კ. ორგანიზაცია მთელი თავისი ძალებით იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს საკავშირო ცაკის დადგენილების რეალიზაციისთვის და არსებული დეფექტების აღმოფხვრით გარდამწყვეტ წარმატებებს მიაღწევს.

გ. გიორგობიან

ბრძოლისა და გამარჯვების 15 წელი

ახ. ლენინურ კომუნისტური კავშირის 15 წლის ისტორია ხასიათდება უამრავი ბრწყინვალე, გამარჯვებებით, რომელიც მიღწეულია პარტიის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით. 15 წლის მანძილზე ლენინურმა კ. კ. თავისი მტკიცე მუშაობით არა ერთი და ორი ბრწყინვალე გამოცდა ჩააბარა პარტიას, პარტიის და ხელისუფლების მიერ დაკისრებულ ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის ბრძოლაში. კ. კ. გადაიქცა მრავალმილიონიან ორგანიზაციად, რომელიც მტკიცედ არის ჩაბმული ჩვენს გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში. მუშურ გლეხური მშრომელი ახალგაზრდობა ირაზმება კ. კ. ლენინურ რიგებში „მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად მუშაობაში ჩაბმის საშუალებით შესაძლებელია შეიქნეთ კომუნისტები“.—გვასწავლიდა ამხ. ლენინი. მრავალმილიონიანმა ლენინურმა კომკავშირმა 15 წლის მანძილზე თავის ისტორიაში ჩასწერა მრავალი ბრწყინვალე გამარჯვებების ისტორიული თარიღები ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის და თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ფრონტზე. ახ. ლ.კ.კ. 15 წლის თავი არის ახალგაზრდა მჩქეფარე ენერგიით აღსავსე მრავალმილიონიანი მშრომელი ახალგაზრდობის გამარჯვების იუბილე.

კომკავშირმა იდეოლოგიურ ფრონტზე ლენინური პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით სასტიკი და დაუნდობელი იერიში მიიტანა პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრებისა და დამახინჯებათა წინააღმდეგ. კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით მუდამ იდგა, დგას და მომავალშიაც იდგომება ლენინური დროშის სადარაჯოზე, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დაკისრებულ ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახვევები — მემარჯვენე გადახრის, როგორც მიმდინარე პერიოდში მთავარი საფრთხის, „მემარცხენე“ გადახრების, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, დამპალ ლიბერალიზმის წინააღმდეგ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლის წარმოებით. პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მითითების საფუძველზე. ჩვენი ისტორიული გამარჯვების იუბილე გვავალებს კიდევ უფრო გავშალოთ მუშაობა პირველი ხუთწლედის გამარჯვების გაკვეთილების საფუძველზე, გავწიოთ წინ, მეორე ხუთწლიანი გეგმის ბოლშევიკურად შესრულებისაკენ, უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად მეორე 5 წლედში. ბრძოლაში გამობრძმედილ სახელოვან ლენინურ კომკავშირს, რომლის რიგებში ითვლება მრავალრიცხოვანი მშრომელი ახალგაზრდა ბოლშევიკი, ახსოვთ, რომ „სოციალისტური მშენებლობის ჭიანურზე უნდა ვიცოდეთ დაკვრა არა სმენით, არამედ ნოტებით“ (კოსარევი).

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2000 წევრიან ორგანიზაციამ მიაღწია სერიოზულ წარმატებებს სასწავლო საწარმოო გეგმის ბოლშევიკურად შესრულების საქმეში. საკავშირო მუშაობის ახალ ფორმებისა და მეთოდების მიხედვით გარდაქმნისა, და მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური სწავლების ბოლშევიკურად გაშლის უზრუნველყოფის საქმეში. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლენინური კომკავშირის ორგანიზაცია საკავშირო ახ. ლენ. კომ. კავშირის 15 წლის თავთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა რეალიზაციით, მიაღწევს წევრთა სასწავლო აკადემიურ და საზოგადოებრივ მუშაობის ფრონტზე ბოლშევიკურ ხარისხობრივ და რიცხობრივ მაჩვენებლებს.

ვ. ქვარცხავა.

კომკავშირის რიგებში ადგილი არა აქვს გამფლანგველს და გადაგვარებულს

(უნ-ტის ა. ლ. კ. კ. კომიტეტის ბიუროს დადგენილება)

კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ **ავთანდილ იოსელიანმა,** რომელსაც ბოროტმოქმედების ჩადენისათვის კომიტეტის ბიუროს მიერ გამოცხადებული ჰქონდა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და აგრეთვე მოხსნილი იყო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგის თანამდებობიდან კომიტეტის შემადგენლობიდან გამორიცხვით, ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა კომიტეტისათვის მიცემული სიტყვა თავისი შეცდომების გამოსწორებისა და სასწავლო გეგმების შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გაჩაღებით თავისი დანაშაულის გამოსყიდვის შესახებ, ხელი მიჰყო კინკლაობას, კომიტეტის წინააღმდეგ უპრინციპო დაჯგუფების ორგანიზაციის ცდებს, კომკავშირის ცალკე წევრებს შორის კომიტეტში მომუშავე ამხანაგების დისკრედიტიზაციას.

იღებს რა მხედველობაში, რომ ა. იოსელიანმა კულტპროპგანყოფილების გამგედ ყოფნის დროს დამკვრელ პროპაგანდისტთა და მსმენელთა დასაჯილდოებლად მიღებულ 700 მანეთიდან მიითვისა და გაფლანგა 300 მანეთი და დამტკიცებულად მიაჩნია რა თეორიული ეკონომიური განყოფილების კ. კ. უჯრედის დადგენილება იმის შესახებ, რომ იოსელიანმა უკანასკნელ დროს სავსებით შეასუსტა კომკავშირში მუშაობა (უჯრედის კრებების, სამხედრო და პოლიტმეცადინეობის გაცდენა და სხვ.) და დაადგა გადაგვარების გზას, კომიტეტის ბიურო ადგენს:

1) ავთანდილ იოსელიანი — კომკავშირის წევრი 1926 წლიდან, რომელიც კომკავშირის ქუთაისის ორგანიზაციის მიერ 1929 წელს ხულიგნური მოქმედებისათვის გარიცხული იყო კომკავშირიდან და ორგანიზაციაში აღდგენილს გამოცხადებული ჰქონდა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით უნივერსიტეტის კომიტეტის ბიუროსა და ორჯონიკიძის რაიკომის მიერ სამარცხვინო ბოროტმოქმედების ჩადენისათვის და მოხსნილი იყო სამუშაოდან, **გაირიცხოს კომკავშირიდან;**

2) დაევალოს კომკავშირის უჯრედებს გაამახვილონ ყურადღება და აწარმოონ სასტიკი ბრძოლა ყოველგვარი კინკლაობისა და უპრინციპო დაჯგუფებათა მოწყობის ცდების წინააღმდეგ.

3) აღნიშნული დადგენილება დამუშავდეს კომკავშირის უნივერსიტეტის ყველა უჯრედებში და გამოქვეყნდეს პრესაში.

ს. ა. ლ. კ. კ. უნივერსიტეტის
კომიტეტის პ.-მ. მდივანი
მახარაშვილი

საზეიმო სხდომა უნივერსიტეტში

27 ოქტომბერს კომკავშირის 15 წლის თავის აღსანიშნავად შედგა ტფ. სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის საზეიმო სხდომა. თავის შესავალ სიტყვაში **უნ-ტის კომკავშირის** კომიტეტის მდივანი ამხ. **მახარაშვილი** შეეხო კომკავშირის 15 წლის გმირულ ბრძოლებსა და გამარჯვებებს: კომკავშირმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საქმეში ჩვენს ქვეყანაში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე. კომკავშირი მუდამ იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენების წარმატებით დასამთავრებლად. კომკავშირმა ღირსეულად გაამართლა პარტიის უახლოესი თანაშემწის მოვალეობა, კომკავშირი სასტიკ და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ყოველგვარ გადახრებთან პარტიის გენერალური ხაზიდან.

შემდეგ ამხ. მახარაშვილი აღნიშნავს იმ მიღწევებს, რომლებიც უნივერსიტეტის ათასწევრიან ორგანიზაციას აქვს სასწავლო-აკადემიურ, მარქსისტულ - ლენინურ აღზრდის და საზოგადოებრივი მუშაობის ფრონტზე. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საკ. ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაციის საქმეში.

ამხ. მახარაშვილის სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმი: ამხ. **სტალინი** და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას **პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა** (მთელი სხდომა მხურვალე ოვაციებით ხვდება საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის არჩევას საპატიო პრეზიდიუმში), ამხ. **ტელმანი, პოსტიშევი, ლ. ბერია, ფ. მახარაძე, კოსარევი, პ. აღნიაშვილი, გიორგობიანი** და **გრიგორიანი.**

საქმიან პრეზიდიუმში: ამხ. **ს. მინდაძე, კოჭლავაშვილი, მინდიაშვილი, მეტრეველი, შენგელია, მთვრალაშვილი, სულაქველიძე, კვიცარიძე, ბარათელია, მახარაშვილი, ოთხმეზური, კვირიკაძე, გიორგობიანი, გრძელიძე** და სხვ.

შემდეგ სხდომამ მოისმინა საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. **ვ. მეტრეველის** მოხსენება.

ამხ. მეტრეველის სიტყვის შემდეგ მისალმებებით გამოვიდნენ: ტფ. უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი ამხ. **მინდაძე,** რომელმაც კომკავშირის ორგანიზაციას გადასცა წითელი დროშა, ალმასბიუროს სახელით — ამხ. **ბარათელია,** რექტორატის — ამხ. **კვიცარიძე,** ადგილკომის — ამხ. **ხირსელი,** პროფესურის — ამხ. **ჩახვაძე,** მოგონებებით გამოვიდა ძველი ბოლშევიკი ამხ. **ნასარიძე.**

პატაკებით, რომლებიც შეიცავდნენ კონკრეტულ ვალდებულებებს, გამოვიდნენ ისტორიულ-ფილოსოფიურ, პოლიტეკონომიის, სამართლის, სავაჭრო-საფინანსო და მუშფაკის კ. კ. უჯრედების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომამ მისალმებები გაუგზავნა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას და საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანს ამხ. გიორგობიანს.

ვ. ქ.

ა.-კავკასიის გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის (ტფილისი) ერთ-ერთი ლაბორატორია

გადავაქციოთ უნივერსიტეტი კულტურისა და მეცნიერების ბოლშევიკურ კერად!

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის პლენუმი.

კამათი ამხ. ლ. ალნიაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. ა. დოლიძე

საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტზე ადგილი აქვს განყოფილებიდან განყოფილებაზე გადასვლას. ხშირია შემთხვევა, როცა სტოვებენ საბჭოთა აღმშენებლობის განყოფილებას და გადადიან სამართლის განყოფილებაზე. საჭიროა ამ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. საბჭოები — პროლეტარიატის დიქტატურის ეს ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იქნან მაღალკვალიფიციური კადრებით.

შემდეგ მტკივნეულ საკითხად ამხ. დოლიძეს მიაჩნია ლიტერატურის საკითხი. სისხლის სამართალში არ მოიპოვება არც ერთი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. სტუდენტთა უმრავლესობა რუსული სახელმძღვანელოებით ვერ სარგებლობს, ამიტომ საჭიროა დაჩქარდეს აუცილებელი ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე და გამოცემა.

ვერ არის კარგი მდგომარეობა სოცშეჯიბრების დარგში. პროფესორ-ლექტორები არ არიან მასში მთლიანად ჩაბმული. სოცშეჯიბრების შედეგების აღრიცხვის და მოწინავეთა დაჯილდოების საქმე მოუწესრიგებულია. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ამხ. იმედაშვილი

მიუხედავათ უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობის გაძლიერებისა პარტიული კადრებით, ჩვენი პარტიული სიფხიზლე ოდნავადაც არ უნდა იქნას შესუსტებული. კიდევ მოგვეპოვება პროფესორები, კერძოდ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტზე, რომლებიც იდეოლოგიურად არ განიარაღებულან და არც მალავენ ამას. პროფ. ანდრონიკაშვილი, მაგალითად, ამბობს, რომ იყო და დარჩება ჰეგელიანელად.

პროფესორთა ერთი ნაწილი სათანადო სერიოზულობით ვერ ეკიდება პედპერსონალის შერჩევის საქმეს.

პროფ. გ. ჯავახიშვილმა, მაგალითად, ბოტანიკაში ასისტენტად მოიწვია 60 წლის მოხუცი, რომელიც ოდესღაც ეკონომიურ გეოგრაფიას ასწავლიდა. ეს მეტი რომ არ ვსთქვათ, არის არა სერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი. რასაკვირველია, ამხ. კვიცარიძემ მას ამის ნება არ დართო.

ამხ. კალანდარიშვილი

მიუთითებს, რომ ზოგიერთი პროსორი გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას უნივერსიტეტში, მუშაობის ახალ ფორმებს და მეთოდებს, საზოგადოებრივ კონტროლს და სტუდენტთა გაცნობას თავიანთ მუშაობასთან, შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ სტუდენტები ვერ შესულან პროფესორებთან, ვერ უთქვამთ თავიანთი აზრი მათ მუშაობაზე. ასეთია მაგალითად პროფ. ი. მოსეშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე და ზოგიერთი სხვები.

არ სჩანს მეთოდბიუროს მუშაობა. არის მთელი რიგი დისციპლინები, სადაც ამა თუ იმ სპეციალობის პროფილები ჯერაც არ არის დამუშავებული.

ახალი მიღება ვერ ჩატარდა დამაკმაყოფილებლად. მიღებულთა პარტიული შემადგენლობაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ბაბილოძე

ყურადღებას მიაქცევს გაცდენებთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას. ამ საქმეში მიღებული წარმატებები არ არის დამაკმაყოფილებელი. ვერც აღრიცხვა არის დაყენებული კარგად. აწარმოებენ მხოლოთ იმათ აღრიცხვას, ვინც სულ აცდენს ლექციას, მაგრამ არ ხდება აღრიცხვა იმათი, ვინც დაიგვიანა. დისციპლინის განმტკიცების გარეშე შეუძლებელია მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევა.

ამხ. ჩოდრიშვილი

მუშფაკის მაგალითზე აღნიშნავს, რომ მუშაობის სოციალისტური მეთოდები ხშირად ვერ ხორციელდება ისე, როგორც საჭიროა, გაზაფხულზე 96 ამხანაგს დაინიშნა ხელახალი გამოცდები. შრომის სოციალისტური ფორმები რომ ღრმად ყოფილიყო ჩანერგილი (საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვა) ამ გარემოებას ადგილი არ ექნებოდა.

საჭიროა პროგრამების დაყვანა თითეულ სტუდენტამდე და უკანასკნელთა უზრუნველყოფა საჭირო ლიტერატურით. ამ მხრივ ჩვენ გადამჭრელი ზომები მივიღეთ. პროგრამები შედგენილია და იბეჭდება. მოვამარაგეთ საჭირო ლიტერატურაც. ამ დღეებში გაიხსნება სამკითხველო. შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა სტუდენტებისთვის დახმარების აღმოსაჩენად და მათთვის საჭირო მითითებების მისაცემად.

ამხ. მირიანაშვილი

აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს უსათუოდ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს აკადემიურ ფრონტზე. საგნების უმრავლესობა „კარგზე" და „ფრიადებზე" იქნა ჩაბარებული. კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მისაღწევად. მაგრამ მაინც არ შეიძლება იმის თქმა რომ ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება ჩამორჩენილი სტუდენტები, საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება: სტუდენტი, რომელიც სათანადო დახმარების აღმოჩენის შემდეგაც არ გამოსწორდება, უნდა გაირიცხოს.

შემდეგ ამხ. მირიანაშვილი ეხება ლექციების ხარისხს. ხშირად პროგრამები კარგი გვაქვს, მაგრამ ლექტორი სულ სხვა რამეს კითხულობს. საჭიროა შემოწმდეს ლექციები, თორემ მარტო კარგი პროგრამები არ კმარა.

ამხ. ი არევაძე

რომ მრუდით გამოვხატოთ საბუნებისმეტყველო კათედრის სამეცნიერო მუშაობა, მრუდის უმაღლეს წერტილზე მოექცევა. გეოლოგია, ფიზიკა, ქიმია. მაგრამ **იგივე არ ითქმის მათი მუშაობის შესახებ კადრების მომზადების დარგში.** ამ მხრივ გეოლოგიის კათედრა ყველაზე დაბალ დონეზედ დგას. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სტეხს განგაშს ამ მოვლენის გარშემო.

გეოლოგიის კათედრას 8 წლის განმავლობაში ერთი პარტიული — და კომკავშირელი არ დაუწინაურებია, დაწინაურების მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო და სამწუხაროთ ის ამხანაგიც გარდაიცვალა. ასეთივე მდგომარეობაა მინერალოგიის კათედრაზედაც.

ვერც დაწინაურებულთა და ასპირანტ-ასისტენტების ხელმძღვანელობაა კარგ მდგომარეობაში.

პროფ. ციციშვილი და მოსეშვილი მაგალითად, თავს არიდებენ ჩვენს მიერ გაგზავნილ ორ ახალგაზრდასთან მუშაობას. პროფ. მოსეშვილი გაურბის მეცნიერების ახალი მიღწევების სწავლებას.

საერთოდ ჩვენი ზოგიერთი პროფესორი ზურგით არის მობრუნებული ახალი მეცნიერული სიტყვისა და მიღწევებისაკენ. ტფილისში ყოფნის დროს უნივერსიტეტში მოწვეული იყო პროფესორები კრუტკოვი და გამოვი. იმ დროს, როცა სხვა ინსტიტუტებში მათ ლექციებზე ტევა არ იყო, უნივერსიტეტში მათ მოხსენებებს არ დასწრებიან სწორედ ის პროფესორები თავიანთ ლაბორანტ-ასისტენტებით, რომელთათვისაც ყველაზე უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო ეს ლექციები.

რა არის ეს?

ნუ თუ მათთვის ცნობილი და ნათელია ყველაფერი, რაზედაც პროფ. კრუტკოვი და გამოვი ლაპარაკობენ?

დაუჯერებელია, რადგან მათი ლექციებიდან ეს არ სჩანს.

საჭიროა რუსეთიდან მოვიწვიოთ პროფესორები და გამოჩენილი მეცნიერები, რომ მთელ რიგ დისციპლინებში ავსწიოთ სწავლების ხარისხობრივი დონე. კერძოთ საჭიროა აკად. ლ. ფ. პისარჟევსკის მოწვევის დაჩქარება.

ამხ. გიორგობიანი

1934 წელს უნივერსიტეტი უნდა შეხვდეს მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა მოწინავეავანგარდული როლისათვის. ჩვენ გვყავს ისეთი სტუდენტები, რომლებიც მოწინავეობენ საზოგადოებრივ მუშაობაში და მოიკოჭლებენ—აკადემიურათ: არიან ისეთებიც, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ მუშაობას და გადავარდნილი არიან „აკადემიზმში". დაგმობის ღირსნი არიან ერთნიც და მეორენიც. ჩვენმა სტუდენტობამ უნდა ისწავლოს საზოგადოებრივი და აკადემიური მუშაობის შეთავსება.

სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში, ბევრი ნაკლი ახასიათებს. მაგალითისათვის საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ჯგუფებში და ბრიგადებში არ შეგვიმოწმებია დამკვრელობა და სოცშეჯიბრება, არ გამოგვიყენებია წითელი და შავი დაფა.

ამხ. ხირსელი

თუ გავითვალისწინებთ არსებობის იმ პატარა პერიოდს, რომელიც აქვს უნივერსიტეტს, დავინახავთ, რომ უსათუოდ დიდი საქმე არის გაკეთებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიეწერება სამკუთხედის შეთანხმებულ მუშაობას.

ზოგიერთი ფიქრობს, თითქოს ადგილკომის მოვალეობას შეადგენს ზრუნვა მხოლოდ მოსამსახურეთა პროფინტერესების დაცვაზე, ეს რასაკვირველია, არ არის სწორი. პროფორგანიზაცია მოვალეა იბრძოლოს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის, ჩვენს პირობებში სასწავლო გეგმების შესრულებისთვის. ამ მხრივ არის გაშლილი მუშაობა და უნდა ვსთქვათ, რომ შედეგებიც კარგი გვაქვს, შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენებაში ყველაფერი თავის რიგზე არ იყო. ადგილკომი შეეცადა ამ მდგომარეობის გამოყენებას, მან შესძლო სოცშეჯიბრებაში ჩაება ადმინისტრატიული - ტეხნიკური პერსონალის 68 პროც.

მიმდინარე წელს შედგენილი გვაქვს ახალი გეგმა შემოდგომის სემესტრისათვის და მთავარი ადგილი უჭირავს შრომის სოციალისტური ფორმების გაშლას პედაგოგიურ და ადმინისტრატიულ პერსონალს შორის. რაც შეეხება ფაკულტეტებს, ფაკულტეტები შეუდგენ მუშაობას. კერძოთ, ეკონომიური ფაკულტეტმა უკვე გამოიწვია სოცშეჯიბრში ისტ.-ლიტერატურ. ფაკულტეტი. მიღებული არის ზომები რომ ყველა ფაკულტეტები ჩაებან ამ მუშაობაში. ამავე მიმართულებით გაშლილია მუშაობა ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ პერსონალს შორის. ამ მიზნით ამ დღეებში მოწვეული იქნება დამკვრელ ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ პერსონალის შეკრება, სადაც მოხდება მათი დაჯილდოება.

ადმინისტრაცია ყოველმხრივ ხელს გვიწყობს, მაგრამ ჩვენი დახ. კოოპ-ვი ვერ გვიწევს სათანადო მომსახურეობას. არის შემთხვევები როდესაც საქონელი არის და გამგეობას არ შეუძლია მოიტანოს ეს საქონელი და გაანაწილოს ის. ეს საკითხი დავსვით და რექტორატის მიერ უკვე გამოყოფილია სპეციალური პარტიული ამხანაგი ამ ხაზით სამუშაოდ.

ამხ. კვირიკაძე

ლაპარაკობს ასპირანტურის მომზადების საკითხზე. გასულ წელში ამ საქმეს ნაკლი ახასიათებდა. წელს ზოგი რამ გამოსწორდა, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი გამოსასწორებელია. სტაბილური გეგმები არ მოგვეპოვება. საგნების ხელმძღვანელებმა არ იციან რაზე მუშაობს ასპირანტი. კათედრების ხელმძღვანელობა მათზე მიმაგრებულ ასპირანტზე არ სჩანს. კათედრებმა არ იციან, თუ რას აკეთებენ მათი ასპირანტები.

ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ დისციპლინის განსამტკიცებლად. გაცდენები დავიყვანეთ მინიმუმამდე. ბოროტგამცდენების წინააღმდეგ მივიღეთ მკაცრი ზომები. ორი მათგანი (ზაქარია რამიშვილი, ნინო ღორებაშვილი) გავაძევეთ პარტიიდან.

გამოირკვა, რომ ზოგჯერ დისციპლინებში ძალიან ცუდათ გვქონია საქმე, კერძოთ ქიმიაში. ავიღოთ პროფ. მოსეშვილი, მან აიყვანა ასისტენტად ვინმე ჩიხლაძე, რომელსაც არაფერი არ ესმის. ჩიხლაძე მოხსნილ იქნა. არც ერთი პარტიული მოსეშვილმა არ დასტოვა, ჩიხლაძე კი დასტოვა, იმიტომ, რომ ეთქვა: აი როგორი არიან თქვენი კომკავშირელებიო, როდესაც მახაშვილი და სანაძე გაუგზავნეთ პროფ. ციციშვილს და მოსეშვილს, მათ გვიპასუხეს, რომ მათ მოსამზადებლათ საჭირო მოწყობილობა არა აქვთ, თუ მოწყობილობა არა ჰქონდათ აქამდე უნდა მიეღოთ ზომები.

იდეოლოგიურ ფრონტზე ჩვენ გარკვეული მუშაობა ჩავატარეთ. გავაძევეთ ჩვენი რიგებიდან ისეთი ხალხი, როგორიც არის, მაგალითად, მენაბდე. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მან მუშფაკს შეაფარა თავი.

ამხ. კალანდაძე

აღნიშნავს რომ უნივერსიტეტის ლითოგრაფია აჭიანურებს პროგრამების ბეჭდვას, რაც საფრთხეს უქმნის სასწავლო გეგმების შესრულებას. ეს იმის შედეგია, რომ ლითოგრაფიაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ადგილი აქვს კერძო დაკვეთების მიღებას და შესრულებას იმ დროს, როცა უნივერსიტეტის პროგრამები დაუბეჭდავია. საჭიროა მიღებული იქნას ზომები ლითოგრაფიის მუშაობის მოსაწესრიგებლად.

ვერც ბიბლიოთეკა უწევს შესაფერ მომსახურეობას სტუდენტობას. იგი ადრე იკეტება. სტუდენტები ხშირად იძულებული არიან გამოტანილი წიგნები სახლში წაიღონ. ამ წაღება-მოტანაში წიგნები იკარგება. საჭიროა ბიბლიოთეკის მუშაობის დრო შეთანხმებული იქნას მეცადინეობის დაწყება-შეწყვეტასთან.

შემდეგ ამხ. კალანდაძე ეხება სტუდენტთა მომარაგებას და აღნიშნავს, რომ ვერც კოოპერატივის და ვერც სასადილოს მუშაობა არის დამაკმაყოფილებელი. საქონლის ფასი კოოპერატივში მიუწვდომელია სტუდენტისათვის. სადილები ძვირია. გამეფებულია ვაჭრული განწყობილება, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას, სტუდენტების ნორმის მოპარვას, ორდერების გაყიდვას. სადილების ღირსება ცუდია. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხ. გასვიანი

ეხება, რა აღმასბიუროს მუშაობას, აღნიშნავს, რომ აღმასბიუროს თავისი არსებობის მოკლე დროის განმავლობაში ყველაფრის გაკეთება არ შეეძლო; მაგალითად ვერ ჩავებით საკავშირო შეჯიბრში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შედარებით ბევრ რამეს გაკეთება შევსძელით. სოცშეჯიბრში ჩაბმულია სტუდენტთა 85 პროც. საუკეთესო სტუდენტები დავაჯილდოეთ ფულით, დასასვენებელ სახლებში გავგზავნეთ. მოვაწყვეთ დამკვრელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 171 კაცი.

ორიოდე სიტყვა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ. ჩვენ გვაქვს პერსპექტივა ცალკე გავხსნათ სასადილო დამკვრელ სტუდენტებისათვის.

რაც შეეხება მეცნიერულ მუშაკებს, აქაც მოვაგვარებთ საკითხს. თუ დახურულ კოოპერატივის მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლს — გამოვასწორებთ.

მართალია, რომ ჩვენი კოოპერატივის მიერ შეძენილი საქონელი სტუდენტთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ჩვენ ბევრს ვთხოულობთ, მაგრამ მეტს არ გვაძლევენ, მომარაგების საკითხის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ წარმომადგენელი გვყავს: მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში.

ამხ. ბოლქვაძე

ამხ. ალნიაშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მუშფაკმა გარდაქმნა თავისი მუშაობა. ეს მართალია, მაგრამ კიდევ შეგვრჩა მრავალი ნაკლოვანება, რომლებიც უნდა აღმოვფხვრათ. პარტიულმა ორგანიზაციამ ყურადღების ცენტრში დააყენა პედაგოგების შერჩევის საკითხი. იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ამახინჯებდნენ პარტიის ხაზს. მაგალითად მასწავლებელი ცხაკაია, რომელიც გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის აპოლოგეტის როლში, ეს იმ დროს, როცა კარგა ხანია შემუშავებულია მარქსისტული შეხედულება (განსაკუთრებით ამხ. ფ. მახარაძის ნაშრომებში) ილია ჭავჭავაძის შესახებ.

უნივერსიტეტმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მუშფაკს, უფრო უნდა დაუახლოვდეს მას.

ამხ. მ. თოხაძე

აქ ბევრი ილაპარაკეს კოოპერატივის მუშაობის უვარგისობაზე, მაგალითად ამხ. ხირსელმა. მაგრამ ადგილკომი არავითარ დახმარებას არ გვიწევს. რამდენი ხანია ვსთხოვეთ ხირსელს მოეწოდებია სამეცნიერო მუშაკთა სიები, მაგრამ დღემდე ვერ მივიღეთ.

ძალიან ძნელია მუშაობა, როცა ტრანსპორტი არ არის.

ამხ. კალანდაძემ არ იცის, რომ სასადილო და ბუფეტი არის არა კოოპერატივის, არამედ სახალხო კვების ტრესტის ხელში, კონტროლი კი ეკუთვნის სტუდენტთა აღმასბიუროს. რაც შეეხება ფეხსაცმელებს, რეზინის ფეხსაცმელები ღირს 55 მანეთი. მე ვამჯობინე ტყავის ფეხსაცმელების მოტანა. საერთოდ კოოპერატივმა მიიღო სათანადო ზომები, რომ სტუდენტობა უკეთ მოამარაგოს.

ამხ. ბუაჩიძე

წარსულ სასწავლო წელში პროგრამები იმ დროს მივიღეთ, როცა გამოცდები მიმდინარეობდა. ამან უსათუოდ მოახდინა გავლენა საერთო აკადემიურ დონეზე. საჭიროა ეს მდგომარეობა არ განმეორდეს.

შემდეგი საკითხია ლიტერატურის საკითხი, განსაკუთრებით იურიდიული დარგისათვის. საჭიროა ზომების მიღება ლიტერატურის სასწრაფოდ გადასათარგმნათ ქართულ ენაზე.

ლექციების მხრივ მდგომარეობა შედარებით ნორმალურია. მხოლოდ ორ საგანში გვაქვს გარღვევა: საბჭოთა სახელმწიფოსა და შრომის სამართლის დისციპლინებში, არ არის გამონახული ლექტორი, საჭიროა ლექტორის დროზე გამონახვა, თორემ დაგვიანება გამოიწვევს ჩვენს ზედმეტ გადატვირთვას შემდეგ სემესტრებში.

საჭიროა მეტი სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე. როგორ შეიძლება შეურიგდეთ პროფ. ანდრონიკაშვილის განცხადებას, რომ მე ვიყავი და ვიქნები ჰეგელიანელიო, ან პროფ. ნუცუბიძის განცხადებას **ძველი უნივერსიტეტის** აღდგენის შესახებ. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ზოგიერთ სტუდენტისათვის საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენება არის პრობლემა. პარტორგანიზაციამ გაშალა მუშაობა, მაგრამ ბრძოლა ამ მიმართულებით ბოლომდე არ არის მიყვანილი.

ამხ. ზ. ჩახვაძე

ამხ. ლ. ალნიაშვილმა თავის მოხსენებაში გაგვაცნო უდიდესი მიღწევები, რომლებიც უნივერსიტეტს აქვს. საჭიროა ამ მოხსენების განმეორება სტუდენტთა ფართო მასაში, რომ ჩვენი სტუდენტობა გაეცნოს ამ მიღწევებს.

კომკავშირული სტუდენტობა ავანგარდს წარმოადგენს სწავლების საქმეში. არის გამონაკლისიც. არიან პარტიული და კომკავშირული სტუდენტები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ უპარტიოებს, მომავალში პარტიულ-კომკავშირულ სტუდენტთა ავანგარდული როლი კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, შემდეგ კათედრების გამგე პარტიულ ამხანაგების შესახებ. უნდა ითქვას, რომ მათ ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ავანგარდული როლი კათედრების გამგეებს შორის. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სწავლების ხარისხს. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ კათედრების სათავეში მდგომი ჩვენი ამხანაგები ნამდვილად გადაიქცენ მოწინავეებად, ისე სანიმუშოთ დააყენონ თავიანთი მუშაობა, რომ მაგალითის მიმცემი გახდნენ სხვა კათედრებისთვის.

ამხ. ლ. ალნიაშვილის საბოლოო სიტყვა

ჩემს ამოცანას შეადგენდა გაშუქება იმ საქმიანობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს უნივერსიტეტში შედარებით ამ მცირე ხნის განმავლობაში და აგრეთვე გაშუქება იმ პერსპექტივების, რომელიც აქვს უნივერსიტეტს მიმდინარე სასწავლო წელს. რასაკვირველია, ისეთ დიდ დაწესებულებაში, როგორიც სახელმწიფო უნივერსიტეტია, მრავალი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს. სრულიად არ მქონდა საშუალება გამეშუქებია ნახევარი იმ საკითხების, რომელიც საჭირო იყო დასმულიყო ჩვენი პლენუმის წინაშე. ყოველ შემთხვევაში მრავალი საკითხი, არ იყო გაშუქებული როგორც საჭირო იყო. მე ვიმედოვნებ, რომ ჩემი შემდგომი მუშაობის პროცესში შევსძლებთ დავამუშაოთ ეს საკითხებიც.

ერთ - ერთი ამხანაგი აღნიშნავს, თითქოს ერთ მასწავლებელს (სამწუხაროდ არ იყო აღნიშნული არც პროფესორის და არც სტუდენტის გვარი) — პროფესორს განუცხადებია, რომ ჩემი ლექციების დროს ნუ დასწერთ ნურაფერს, თორემ რაიმე გამოგრჩებათ და აზრს დაამახინჯებთო, ეს სრულიად დაუშვებელი განცხადებაა. თუ ასეთს რაიმეს მართლა ჰქონდა ადგილი, უნდა ყოფილიყო დასახელებული მასწავლებლის გვარი. (ხმა დარბაზიდან: **მოსეშვილი**).

შევჩერდები რამდენიმე საკითხზე, პირველყოვლისა საგამოცდო სესიებზე, ეს იყო პირველი სესია. უნივერსიტეტის პირობებში. იმ წინასწარმა მუშაობამ, რომელიც უნივერსიტეტმა, ფაკულტეტებმა, სასწავლო ნაწილმა ჩაატარა და, უნდა ითქვას, კარგათაც ჩაატარა, მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენი სტუდენტები მოვიდა მომზადებული, მე თვით დავესწარი მრავალ გამოცდას და უნდა ვსთქვა, რომ პირდაპირ სასიხარულო მოვლენა იყო; რომ დიდი პროცენტი სტუდენტობისა კარგათ მომზადებული გამოცხადდა გამოცდებზე. მეორე სესიებს, ჩვენ უფრო მომზადებული შევხვდებით.

დაახლოვებით მაისში დაიწყო დიდი მუშაობა უნივერსიტეტის ახალი სასწავლო წლისთავის, თითქმის ყველა საკითხი, რომელიც საჭირო იყო გადაწყდა, ჩვენ შევადგინეთ სასწავლო გეგმა. მე აღვნიშნე თუ რა ძნელი იყო სასწავლო გეგმის შემუშავება, მიუხედავათ ამისა წელს ჩვენმა კადრების განყოფილებამ წარმატებით ჩაატარა შემოდგომის მიღება, ჩვენ მივიღეთ შვიდასამდე კაცი.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას წელს მიემატა 70 კაცი, კომკავშირის ორგანიზაციას კი 250. არ შემიძლია ვთქვა, რომ ის მიღწევები რომლებიც ჩვენს გვაქვს ამ შემოდგომის სესიების ჩატარების დროს სრულიად საკმარისი იყო. ჯერ ერთი საშუალო სკოლებს არ ჰქონდათ გამოშვება და ჩვენ მოგვიხდა იმათი მოკრება, ვინც დარჩენილი იყო. ასეთი მდგომარეობა იქნება ორი წლის განმავლობაში. მეორე ის, რომ ჩვენი სტუდენტობა არ არის დაჩვეული დისციპლინას და თავის დროზე განცხადებები არ შემოიტანეს. იმის მაგიერად, რომ პირველ სექტემბრამდე დაგვემთავრებია მუშაობა, ჩვენ მოგვიხდა მიღების გაგრძელება 15 სექტემბრამდე. მიღებული კონტინგენტი ძირითადად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც წამოყენებულია პარტიის მიერ.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ჩვენს მუშაობაში — ძალიან გაგვიძნელდა ენების სწავლების დაყენება, მიუხედავათ იმისა, რომ რამდენჯერმე იყო ჩატარებული თათბირი უცხო და რუსული ენების სწავლების შესახებ. რუსული ენის სწავლება აუცილებელია ჩვენს პირობებში, საზღვარგარეთის მეცნიერებაშიც კი შეიქმნა საჭირო რუსული ენის ცოდნა, წარსულში, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებიც კი მარქსი და ენგელსი, სწავლობდენ რუსულ ენას.

მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს ცალკე რუსული განყოფილება.

ამავე დროს განსაკუთრებული და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენის სწავლებას. ჩვენს უნივერსიტეტში არიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც რამდენიმე წელია სწავლობენ და წარმოიდგინეთ ქართული ენა არ იციან. ჩვენს ფაკულტეტებში მოიპოვება მათ მიერ დაწერილი ისეთი საბუთები, რომ პირდაპირ სამარცხვინოა, ეს დაუშვებელია და ამიტომ უნივერსიტეტში შემოვიღეთ როგორც სავალდებულო საგანი ქართული ენა. ეს სამარცხვინო ამბავია, მაგრამ მოგვიხდა ამ ღონისძიებების მიღება, რადგან არსებული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. რა თქმა უნდა ეს დიდი ნაკლია საშუალო სასწავლებლების მუშაობაში, და ალბად განსახკომი მიიღებს ზომებს, რომ აქ არ დავკარგოთ დრო, ეს ეხება მათემატიკასაც, ელემენტალური მათემატიკის განმეორება გვიხდება იმიტომ, რომ საგანი თავის დონეზე არ არის დაყენებული საშუალო სასწავლებელში.

ახლა საერთო საცხოვრებლების საკითხზე. ცეკას მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, სტუდენტთა ქალაქის შესასწავლად. გამოკვლევის შედეგები უკვე მოხსენდა ცეკას ბიუროს. ეს იყო სამი კვირის წინათ. ტფილისის აღმასკომმა უკვე მიიღო ზომები, მუშაობა სწარმოებს, იმედია, რომ ამის შემდეგ მუშაობა აუცილებლად გაიშლება.

ჩვენი უნივერსიტეტის მუშფაკი შესდგება ორი მუშფაკის შეერთებით. უნივერსიტეტი შეეცადა, მუშფაკი გადაექცია თავის ორგანულ ნაწილად. სამწუხაროდ მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ადგილი აქვს არა ჯანსაღ მოვლენებს. უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი იყო კომისია, რომელმაც გამოარკვია მუშფაკის მდგომარეობა. იმ დადგენილებაში, რომელიც გამოიტანა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ნათქვამი იყო, რომ მუშფაკის მუშაობა არ იყო თავის დონეზე. მუშფაკის სასწავლო ნაწილმა და დეკანმა ვერ შეასრულეს თავისი მოვალეობა მთლიანად, არავითარი მუშაობა მუშფაკს არ ჩაუტარებია, რომ სასწავლო გეგმები დროზე შეესრულებია და სტიპენდია დაერიგებია მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აკადემიურ წარმატებას გამოიჩენდენ.

თითქმის 100-ზე მეტი იყო ისეთი შემთხვევა, როცა ორი და სამი „სუსტი" ჰქონდათ მუშფაკის მსმენელს და მათ არა თუ უხსნიდენ არც კი უმცირებდენ სტიპენდიას, სათანადო ზომების მიღების შემდეგ მდგომარეობა მუშფაკში გაჯანსაღდა. იქ შეცვლილი იყო დეკანის თანაშემწე, თვით დეკანიც, მართალია ცოტა დაგვიანებით, რადგან შესაფერი ამხანაგი ვერ მოვძებნეთ და ახლა მდგომარეობა უმჯობესდება.

ორიოდე სიტყვა მომარაგების შესახებ. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც სწარმოებდა მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნისათვის, სწორედ ამ დროს დაისვა მომარაგების სექტორის ჩამოყალიბების საკითხი. ჩვენ მაშინ არ გვქონდა საშუალება მეტი ყურადღება მიგვექცია ამ საქმისათვის. ის კონტინგენტი, რომელსაც ემსახურება ჩვენი დახურული კოოპერაცია თავისი ქსელით, ეს არის დაახლოვებით 6.500-მდე, ამას რომ მივუმატოთ მუშფაკი, კიდევ მეტი იქნება, ეს არის საკმაოდ დიდი რაოდენობა იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენს ახალ დაწესებულებებს უხდებათ მუშაობა. რასაკვირველია ძნელია იმის თქმა, რომ ჩვენ მთლიანად ვაკმაყოფილებთ ჩვენს მოთხოვნილებებს. მოთხოვნილება ძალიან დიდია, ეს აიხსნება იმითაც, რომ მარტო თოხაძეს არ შეუძლია ამის მოგვარება, მართალია ჩვენც ვეხმარებით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთებაა გვჭირდება. არც ის არის სწორი, რომ ზოგიერთი ამხანაგი ჩვენ განმანაწილებელს მხოლოდ ლანძღავს, შეიძლება ლანძღვის ღირსი იყვეს, მაგრამ გარდა ლანძღვისა, საჭიროა ყოველდღიური დახმარება. ამჟამად გამოყოფილი არის ამხანაგი გასვიანი, რომელიც იმუშავებს სპეციალურად ამ საქმეზე, მოაწესრიგებს ჩვენი სასადილოების მუშაობას, მაგრამ საჭიროა მასაც დავეხმაროთ, ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი, თორემ დახმარების გარეშე ისიც ვერაფერს გახდება.

უკანასკნელი საკითხი ეს არის ისევ ის საჭირბოროტო საკითხი, რომელსაც ჰქვია ჩვენი უნივერსიტეტის უზრუნველყოფა კადრებით. მიღებული არის ზომები, რომ ასპირანტების სახით მივლინებულ იქმნენ ლენინგრადში ფიზიკისა და ქიმიისათვის საჭირო ძალები. რუსეთიდან მოვიწვიეთ ჩვენ საუკეთესო პროფესორები, მოვიწვევთ რამდენიმე აკადემიკოსსაც.

ჩვენ მოვიწვიეთ საუკეთესო სპეციალისტი თავის დარგში ლევისონ-ლესინგი, გამოჩენილი აკადემიკოსი მარი, მეშჩანინოვი და სხვა. ტფილისის უნივერსიტეტს ასეთი ძალები ერთად არ უნახავს. თუ მოსეშვილს ჰგონია, რომ მაგალითად გამოვი ვერაფერს იტყვის ახალს, ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ გამოვი თავის დარგში საუკეთესო სპეციალისტი და მცოდნეა. ჩვენ მას ყურს უგდებთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მოვითხოვთ მუშაობას ისე, როგორც საჭიროა, ისე, როგორც ამას მოითხოვს უნივერსიტეტის ინტერესები. ვინც ამას არ იზიარებს, მან უნდა დატოვოს უნივერსიტეტი.

იდეოლოგიური ფრონტის შესახებ, გამოსულ ამხანაგებმა აქ მრავალი მასალა მოიყვანეს. იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლას უდიდესი ყურადღება ექცევა, გარდა იმისა, რომ ჩვენ უსასტიკეს ბრძოლას უნდა ვაწარმოებდეთ ჩვენი სასწავლო გეგმების, პროგრამებისათვის, რომ ისინი ნამდვილად მარქსისტულ-ლენინური იყვეს, უნდა მივაქციოთ აგრეთვე ყურადღება სახელმძღვანელოებს, რომ ისინი იყვეს ნამდვილად მარქსისტული.

ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე კათედრებს, როგორიც არის ქიმიის კათედრა და სხვ., არ იქნება გადაჭარბება, რომ ვთქვა, რომ ზოგიერთი კათედრები სდევნიან პარტიულ და კომკავშირულ სტუდენტებს, ქიმიურ კათედრამ ყოველგვარ ზომებს მიმართა, რომ გაეძევებია პარტიის წევრი და კომკავშირელი, ეს მუშაობა სწარმოებდა ჩუმად, მაგრამ ეხლა იმდენი მასალა არის მოგროვილი, შეიძლება პირდაპირ ვსთქვათ, რომ ასეთ დევნას ჰქონდა ადგილი.

მაგრამ ეს მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ამიერიდან ასეთ მოვლენებს მოვუღებ ბოლოს. ყველა კათედრებთან, სადაც არ მოგვეპოვება პარტიული ამხანაგები, უნდა შევქმნათ კომუნისტური დასაყრდენი. შეიძლება ეს იყოს ასისტენტი, ასპირანტი, მაგრამ ეს მაინც მოგვცემს საშუალებას, რომ ნამდვილად კომუნისტურად წარვმართოთ კათედრების მუშაობა. ყურადღება უნდა მოექცეს ისეთ ჩამორჩენილ ფრონტს, როგორიც არის საბუნებისმეტყველო ფრონტი. იქ ცოტა გვყავს პარტიული ძალები იმისთვის, რომ ნამდვილი მეცნიერული მუშაობა გავშალოთ. სწავლება უნდა ემყარებოდეს მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე. ამას კი ადგილი არ აქვს ზოგიერთ დისციპლინებში. ძველი მასალით და ხალტურულად აწარმოებენ ზოგიერთი პროფესორები თავის მუშაობას.

პროფესორი დანელია ითვლება კარგ სპეციალისტად თავის დარგში, მას აქვს ათასზე მეტი საათი, ის არა მარტო უნივერსიტეტში მუშაობს, ის სხვაგანაც მუშაობს. ამ უკანასკნელ დღეებში მან ისეთი რამეები ჩაიდინა, რაც პირდაპირ მოუთმენელია, მას ვერ წარმოუდგენია, რომ სხვამ მიიღოს წარმატება, დაწინაურდეს, წინ წავიდეს. დანელიასთან მუშაობს ჩხეიძის ქალი, კარგი მასწავლებელი არის. დანელიამ, როგორც კათედრის გამგემ გასაქანი არ მისცა ამ ქალს, როდესაც ჩვენ მოვინდომეთ ერთი ჯგუფის მიცემა ამ ქალისათვის, მისი დაწინაურება, მაშინ დანელია აღშფოთდა, განაცხადა, რომ ეს არის უხეში დარღვევა ყოველგვარი კანონიერების. ის სცდილობდა ჩხეიძის ქალი დაეხატა, როგორც უვარგისი მასწავლებელი, მაგრამ გამოდგა პირიქით. ამით არ დაკმაყოფილდა პროფესორი დანელია. ერთ მშვენიერ დღეს შეუვარდა ამხ. ციხისთავს, აგინა ისეთი სიტყვებით რომლის აქ წარმოთქმა შეუძლებელია. ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ არავის არ მივსცემთ ამგვარი მოქცევის საშუალებას უნივერსიტეტში. დანელია მარტო არ არის. არიან მისი მსგავსნი და ისინი უნდა ჩავაყენოთ სათანადო კალაპოტში. თუ ნამდვილად სურთ მუშაობა.

დაბოლოს მე მინდა მოგმართოთ თქვენ, მეტი მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს მუშაობაში და ჩვენს აღმშენებლობაში. კეთდება დიდი საქმე, ამას აკეთებს მთელი ჩვენი კოლექტივი, შენდება დიდი კულტურული კერა, როგორიც არის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეს არის დიდი საზ-ბრივი მუშაობა. თუ ასე გავიგებთ ჩვენ უნივერსიტეტის მუშაობას, მაშინ აუცილებლად გვექნება დიდი მიღწევა, ეს იქნება ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა, დიდი კულტურული კერის ასაშენებლად, რომელსაც ჰქვიან სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ხანგრძლივი ტაში).

რეზოლუციის მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა.



ვაშრობთ ჭაობებს

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

„კომუნისტი"-ს სტამბა № 68.

მთავლიტი 1909.